საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 2012 წელი.

№229 (7105)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჯდვეტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბეტონის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტის შენახვა დღეში 140 000 ლარი გვიჯდება(?!)

2



ნაციონალთა მიერ გამომცემლობა „სამშობლოდან“ ძალადობრივად გამოყრილი ასობით ჟურნალისტის საყურადღებოდ!

ახალი ხელისუფლების მიერ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების საშვილიშვილო საქმეში, დიდი იმედია, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული სამშობლოს მსახური ჟურნალისტებისთვის წართმეული გამომცემლობა „სამშობლოს“ დაბრუნება პრესისთვის, რომელიც მთელი შემართებით მხარში ედგა დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლას, ანუ იმ ჭეშმარიტად სახალხო ძალას, ეს სამართლიანობა ერთხელ და სამუდამოდ რომ უნდა დაამკვიდროს საქართველოში!..

მოგიწოდებთ, მეგობრებო, სასწრაფოდ შევქმნათ „სამშობლოდან“ გამოყრილი რედაქციების ჟურნალისტთა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ახალი ხელისუფლების საქმიანი მხარდაჭერით დაელაპარაკება „სამშობლოს“ ამჟამინდელ მფლობელებს იმის თაობაზე, რომ ჩვენ ჩვენი კუთვნილი, ჩვენი შრომით აშენებული „სამშობლო“ დავიბრუნოთ და არც ისინი, ამჟამინდელი მფლობელები, დაზარალდნენ უსამართლოდ.

იმედია, პრესის სამართლიანი ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!..

❸ კართაგენი უნდა დაინგრეს!

❺ საჭიროა ნაკლებად გამალიზიანებელი და გამოძღვევი რიტორიკა

❼ მოწყენილი კარგი ქვეყანა

❻ ოქრუაშვილი საკაშვილის წინააღმდეგ

❾ ნაციონალთა რიგები კიდევ ერთმა დეპუტატმა დატოვა

❷ მერიაში „ალღერა“ იწყება

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პრეზიდენტის შენახვა დღეში 140 000 ლარი გვიჯდება(?!)

◎ მთავრობა

— პრეზიდენტის შენახვა დღეში 140 000 ლარი გვიჯდება,— ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განუცხადა.

მისივე განმარტებით, მინისტრთა კაბინეტმა სხდომაზე მეორე მოსმენით 2013 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა.

— მესამე მოსმენა წინ გვაქვს და, აქედან გამომდინარე, მომავალი წლის ბიუჯეტში შესაძლოა, პატარა ცვლილებები კიდევ შევიდეს, თუმცა შევთანხმდით, რომ შემდეგი წლის ბიუჯეტი იქნება ხარისხობრივად განსხვავებული. გაცილებით სხვა ტიპის ბიუჯეტი გვექნება და მოსახლეობას ვპირდები, რომ იქნება სულ სხვა ეკონომიკა, — აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, მთავრობა ძალაში ტოვებს პრეზიდენტისა და ქალაქის „გაურკვეველი ხარჯების“ შემცირების საკითხს.

— ისევ ძალაში ვტოვებთ პრეზიდენტის, ქალაქის სამშენებლო და სხვა გაურკვეველი ხარჯების შემცირების საკითხს. ამ ხარჯების შემცირებით ჩვენ იმხელა ეკონომია გავწიეთ, რომ ამის ხარჯზე სერიოზულად ვახერხებთ სოციალური სფეროს დაფინანსებას. პრეზიდენტის შენახვა დღეში ქვეყანას 140 000 ლარი უჯდება. მხოლოდ კანცელარიის მაგალითზეც რომ გითხრათ, თუკი თვეში აქ 48 ტონა საწვავი მოიხმარებოდა, ახლა ჩვენ გვჭირდება მხოლოდ 7,5 ტონა. თითქმის ხუთჯერ შემცირდა ხარჯები სხვა კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაშიც, — აღნიშნა ივანიშვილმა.

— ტარიფებზე მუშაობა გრძელდება. ჩვენ პროგრამაში არ გვწერია, რომ ტარიფები განახევრდებოდა, თუმცა, ცალკეულ საუბრებში ამაზე ვლაპარაკობდით და შეიძლება გადაჭარბებულადაც. ვფიქრობ, რომ მინიმუმ 10%-ით მაინც მოვახერხებთ ტარიფების დაწევას, თუმცა განახევრებაზე საუბარი არაა, — აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *

გამოვიდა ჭორი, რომ დასუფთავების სამსახურში ზონდერები ჰყავდათ გაფორმებული, — ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც გამოეხმაურა დასუფთავებისა და მერიის სხვა სამსახურებში ფინანსური შემოწმების საკითხს.

— ეს ხალხი მიეჩვია, რომ რაღაც ჯგუფებს აყალიბებდნენ და დღეს აც ცდილობენ, ასე მართონ ქვეყანა. სამართალდამცავების ნებისმიერ ქმედებას პოლიტიკურ აქტად აფასებენ. რაც შეეხება დასუფთავების სამსახურს, გამოვიდა ჭორი, რომ იქ ძალიან ბევრი ზონდერი ჰყავდათ გაფორმებული. ეს შემოწმება არის ნორმალური ფორმა, იმიტომ არსებობენ ეს სამსახურები, რომ შეამოწმონ, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

ცალკეული დაკვეთილი სტატიები საქართველოს საინვესტიციო გარემოს და იმიჯს ვერ შელახავენ, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა „ნიუ-იორკ თაიმსში“ და „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიებთან დაკავშირებით.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილს ლობისტური სისტემა კარგად აქვს აწყობილი. პრემიერის თქმით, მაია ფანჯიკიძე იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში და შეეცდება გაარკვიოს, „ვაშინგტონ პოსტში“ დაბეჭდილი სტატია ხომ არ არის არაობიექტური ინფორმაციის გავრცელების მცდელობა.

ივანიშვილი „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული სტატიის იმ ნაწილსაც გამოეხმაურა, რომელიც მის ამერიკაში ჩასვლას ეხება და განაცხადა, რომ „მათ გაზეთი კი არა ეპატიჟება, არამედ ამერიკის ხელისუფლება“.

— ცალკეული დაკვეთილი სტატიები ვერც კანონმდებლობას შეაფერხებს, ვერც ინვესტიციებს და იმიჯს ვერ შეულახავს საქართველოს. უცხოელებმა, რომლებსაც საქართველოსთან აქვთ კავშირი, კარგად იციან რეალობა, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

საძართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ადასტურებს, რომ „ეროვნული ფორუმი“ „ქართულ ოცნებას“ შეუერთდება.

იქნება პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, რომლის დამფუძნებელი ყრილობაც გაიმართება. ივანიშვილი არ გამორიცხავს, რომ პარტიის თავმჯდომარეც სწორედ ის გახდეს.

რაც შეეხება კახა შარტავას, რომელიც „ეროვნული ფორუმის“ თავმჯდომარე იყო, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ის ვერ დაითანხმა რაიმე სახის თანამშრომლობაზე, რადგან არ სურს, პოლიტიკაში ჩაერთოს.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ყრილობის თარიღი დაზუსტებული არ არის და შესაძლოა, წელს ვერ მოესწროს.

* * *

— დიდი პოლემიკა გამოიწვია „მე-9 არხთან“ დაკავშირებით ჩემმა მოსაზრებამ. ყველაფერი გასაგებად ვთქვი და არ მქონია მხედველობაში ის, როგორც ეს საკითხი ოპონენტებმა გადათარგმნეს, თუმცა, ამ საკითხზე ჩემი დამოკიდებულება შევცვალე.

ვფიქრობ, რომ „მე-9 არხი“ საზოგადოებრივ მაუწყებელს არ შეუერთდება. ვჩუქნიდი „მე-9 არხის“ ქონებას და ტექნიკას „პირველ არხს“, მაგრამ ეს ოპოზიციონერებმა სხვანაირად გაიგეს, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი განმარტებით, „მე-9 არხი“ დარჩება ისეთივე რეჟიმში, როგორც ახლა მაუწყებლობს, მაგრამ მის ოჯახს მასთან კავშირი აღარ ექნება.

* * *

მთავარ პროკურორს იუსტიციის მინისტრი წარადგენს და მთავრობის თანხმობით მას თანამდებობაზე პრემიერი დანიშნავს, — ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის შემდეგ განუცხადა.

წულუკიანმა გუშინ მთავრობის სხდომაზე განსახილველად გაიტანა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის 541 ბრძანებულებაში ცვლილების თაობაზე“ კანონპროექტი, რომლის მიღების შემთხვევაში, პრეზიდენტს პროკურორის წარდგენის უფლება ჩამოერთმევა.

— გარდა ამისა, ეს ითვალისწინებს იმასაც, რომ იუსტიციის მინისტრს უუქმდება საპროკურორო ზედამხედველობის ფუნქცია. პრეზიდენტს პროკურორის წარდგენის უფლება ჩამოერთმევა იმიტომ, რომ პრეზიდენტის სურვილით ჩვენ ვიქნებით საპარლამენტო რესპუბლიკა, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ამ საკითხს გამოეხმაურა პრემიერი ბიძინა ივანიშვილი. როგორც ბიძინა ივანიშვილმა განმარტა, პროკურორის თანამდებობა იქნება ხუთწლიანი ვადა, ხოლო გადაყენება მოხდება იმპიჩმენტის საფუძველზე, რაც, პრემიერის განცხადებით, არც ისე იოლი ფორმაა.

* * *

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელს პრეზიდენტის ნაცვლად ფინანსთა მინისტრი დანიშნავს.

როგორც ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს განუცხადა, დღეის მდგომარეობით საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელის დანიშვნის კომპეტენცია პრეზიდენტს ეკუთვნის, რაც კურიოზულ სიტუაციას ქმნის.

— საქართველოს ფინანსთა მინისტრს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი, ხოლო ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელს — პრეზიდენტი. ეს კურიოზული სიტუაციაა და ჩვენ ის ლოგიკურ შესაბამისობაში მოგვყავს, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

ინტერპრესნიუსი

პატრიარქს საერთაშორისო პრემიით დაჯილდოებენ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია საერთაშორისო პრემიით დაჯილდოებს, — იტყობინებიან საქართველოს საპატრიარქოდან.

— უწმინდესის დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35 წელთან დაკავშირებით, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — „განსაკუთრებული დამსახურებისათვის მართლმადიდებელ ხალხთა და ეკლესიათა შორის ძმური ურთიერთობების განმტკიცების საქმეში“ მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის პრემიით დაჯილდოვდება.

პრემია ყოველწლიურია და მას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სასულიერო და პოლიტიკურ ლიდერებს, ასევე გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს გადასცემს.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მომავალი წლის დასაწყისში მოსკოვშია მიწვეული. 23 იანვარს ქრისტე მაცხოვრის სახელობის საპატრიარქო ტაძარში პრემიის საზეიმო გადაცემა შედგება.

◎ დედაქალაქი

უგულავას გარედან საგამოძიებო სამსახურები უტევენ, შიგნიდან კი საკრებულოს დეპუტატები. საქმე ისე მიდის, რომ თბილისის მერს ყველა დანარჯულ თანხას დაუთვლიან და რა გადაცდომასაც გამოავლენენ, იმის მიხედვით დაიბარებენ ახსნა-განმარტების მისაღებად.

თბილისის წინა წლის ბიუჯეტის განკარგვის საკითხი, შესაძლოა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლოს. როგორც საკრებულოს ახალი ფრაქცია „ქართული ოცნება - თბილისის“ თავმჯდომარემ გიორგი მუსხელიშვილმა განაცხადა, თბილისის 2013 წლის ბიუჯეტი საკრებულოში 20 ნოემბრისთვის შეიდა და კომიტეტების გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს, თუმცა, მერიას უკან დაუბრუნდა.

ობიექტურად შეისწავლიან კი მერიის შესაძლო საბიუჯეტო „გაფლანგვებს“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ძველი კადრები?

„მერიის შესაბამისმა სამსახურმა წარმოადგინა თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი, მაგრამ რადგანაც უცნობი იყო, თუ რა ტრანსფერტი გამოიყოფა ცენტრალური ბიუჯეტიდან თბილისისთვის, ამიტომ დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტი მერიას ისევ უკან დაუბრუნდა“, — აღნიშნა მუსხელიშვილმა.

შესაბამისად უცნობია, რა მოცულობის იქნება მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი. მუსხელიშვილის ვარაუდით, თბილისის ბიუჯეტის პროექტი 20 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განიხილება.

წინა წლის თბილისის ბიუჯეტი 663 მლნ ლარი იყო, საიდანაც 300 მლნ სხვადასხვა ხარჯებში იყო გაწერილი, რაც შესწავლის საგანი უნდა გახდეს. მისივე თქმით, ეს თანხები გაურკვეველი მიმართულებით დაიხარჯა და, სავარაუდოდ, ამ საკითხს სახელმწიფო აუდიტის სამსახური შეისწავლის.

საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარის ზაზა გაბუნიას განცხადებით, თბილისის ბიუჯეტში თანხების არამიზნობრივად ხარჯვა უნდა შეამოწმოს არა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, არამედ მოწვეულმა კერძო აუდიტმა.

გაბუნიას თქმით, ის სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ ენდობა, რადგან იგი იმ ადამიანებისგანაა დაკომპლექტებული, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობასთან“ ასოცირდებიან და აღნიშნავს, რომ ალტერნატიული აუდიტის ჩატარება სწორედ ამ მოტივით მოითხოვა.

„საკრებულოს ბიუჯეტიდან თანხები არამიზნობრივადაა დახარჯული. ამას, რა თქმა უნდა, გამოძიება სჭირდება, თუმცა, მე საქართველოს აუდიტის სამსახურს არ ვენდობი, რადგან ის იმ ადამიანებისგანაა დაკომპლექტებული, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ რიცხვს მიეკუთვნებიან. მათ შორის, თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის აუდიტის დეპარტამენტის უფროსად ბეუან ბუცხრიკიძეა დანიშნული. ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი ხაზინდარი იყო. ამიტომ, ბუნებრივია, მათ არ ვენდობი და ალტერნატიული აუდიტის ჩატარება სწორედ ამიტომ მოვითხოვე.

საქართველოს ორგანული კანონი თვითმმართველობის შესახებ, მისი 57 მუხლი გვაძლევს საშუალებას, მოვიწვიოთ კერძო აუდიტი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, თბილისის ბიუჯეტის შემოწმებისა. მიმაჩნია, რომ ეს უფრო სწორი და გამართლებული იქნება. ასევე, ეს იქნება ობიექტური ანალიზი თბილისის ბიუჯეტის, როგორც საფინანსო დოკუმენტისა.

გამომდინარე იქიდან, რომ კონტროლის პალატა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობითაა“ დაკომპლექტებული, რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობის საბიუჯეტო დარღვევებს ობიექტურად არ შეისწავლის“, — განაცხადა გაბუნიამ.

მოკლედ, საკრებულოს წევრები როგორ უყურებენ ამ აუდიტის სამსახურს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ საქართველოს მთავრობა დედაქალაქის მერიას რომ ავი თვალით უცქერს, ეს კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას. სანამ ბიუჯეტის ხარჯების საკითხის შესწავლა დაიწყებოდეს, მანამდე საგამოძიებო სამსახურები მერიის სისტემაში შემავალ შვიდ დაწესებულებაში შევიდნენ.

2012 წლის 27 ნოემბრიდან მოყოლებული, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიების წარმოება დაიწყეს. ამ მოტივით, საგამოძიებო სამსახურები დოკუმენტაციის ამოღებისა და ახსნა-განმარტების მიღების მიზნით, შესულები არიან ქალაქ თბილისის მერიის სისტემაში შემავალ შემდეგ დაწესებულებებში და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში:

1. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია;

2. ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური;

3. ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური;

4. სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური;

5. ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი;

6. ააიპ თბილისის განვითარების ფონდი;

7. შპს „თბილსერვის ჯგუფი“.

ეკა ბაძრაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კართაგენი უნდა დაინგრეს!

შეკითხვა მთავარ პროკურორს ვრცელი კომენტარით

უამრავი საჩივარი შედის პროკურატურაში, ცხადია, ზღვა სამუშაო აქვთ გამომძიებლებს, ბატონი არჩილ კბილაშვილი და მოკლე დროში დიდი პატივისცემის მომხვეჭი ქალბატონი თეა წულუკიანი მაქსიმალურად ცდილობენ, ისე წარმართონ პროცესები სამართლებრივ ჩარჩოებში, რომ ჩასაფრებული ნაცებიდან არავის არ მიეცეს შემოდავების საბაბი. მიუხედავად ამისა, მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა მაინც უკმაყოფილოა პროკურატურის მუშაობის ნელი ტემპით, ნაკლებად მნიშვნელოვანი ფიგურების დაკავებით და შედარებით მსუბუქი ბრალდებების წაყენებით, გაოცებულია მთავარი დამნაშავეების (ხალხის თვალში!) გარეთ, თავისუფლებაზე ყოფნით (ხელისუფლების ხელში აღებიდან ერთი თვის თავზე!), და განსაკუთრებით აღშფოთებულია ბევრი მათგანის ამორალურ-ცინიკური განცხადებებით, რაც კიდევ უფრო მწვავედ აყენებს დღის წესრიგში მათთვის დროულად თავისუფლების აღკვეთის მოთხოვნას.

ცხრა წლის მანძილზე უფლებებგათელილი მოსახლეობის სურვილი მართლმსაჯულების სწრაფი აღსრულებისა, ერის და სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის დამნაშავეების ხმის ჩაგდებისა და მათი გისოსებს მიღმა ხილვისა, სავსებით გასაგებია, თუმცა, ჩვენი მომთმენი ერი, იმავდროულად, იმასაც აცნობიერებს, რომ ძველი ხელისუფლების გამოძიების მეთოდები არ უნდა იქნეს გამოყენებული, წაყენებული ბრალდებები უტყუარ სამხილებზე უნდა იყოს დაფუძნებული.

ამავე დროს, არსებობს ზოგიერთი ისეთი დანაშაული, რომელსაც, შეიძლება ითქვას, არც გამოძიება სჭირდება, არც მოწმე, არც სამხილი, და არც – პროკურატურაში სარჩელის შეტანა, საქმის დაუყოვნებლივ აღძვრა თავად პროკურატურის პრეროგატივაა.

ის, რაც საქართველოში მოხდა 1 ოქტომბრის არჩევნების(!) შემდეგ, მსგავსი დეზერტირობის პრეცედენტი – სახელმწიფოდან თითქმის ერთდროული გაქცევა თავდაცვის მინისტრის და მისი მოადგილის, იუსტიციის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის და მთავარი პროკურორისა (წვრილფეხობას ვინღა თვლის), მსოფლიომ არ იცის! მართალია, ეს ნაცების ხელისუფლების სირცხვილია დიდწილად, მაგრამ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების ოპერატიულად არაღძვრა უკვე ახალი ხელისუფლების სირცხვილია (ოპერატიულობას ვინ ჩივის, საერთოდ არაა აღძრული!).

კონკრეტულად, მე მხოლოდ ერთ შემთხვევაზე შევჩერდები.

ყველამ, სამხედრომაც და არასამხედრომაც, კარგად ვიცით, რომ თუ ჯარისკაცი მისთვის მინდობილ პოსტს თვითნებურად მიატოვებს, იგი მკაცრად დაისჯება, ომის დროს კი – დაიხვრიტება, ხშირად ადგილზეც, ყოველგვარი სამხედრო ტრიბუნალის გარეშე. თუკი თავდაცვის მინისტრი ან მისი მოადგილე, ან ორივენი ერთად მიატოვებენ(!) მათთვის მინდობილ უაღრესად საპასუხისმგებლო №1 პოსტს, რასაც ქვეყნის უსაფრთხოება ჰქვია და, რისი შედარებაც(!) კი არ შეიძლება ჯარისკაცის პოსტთან, ასეთ შემთხვევაში, პროკურატურა ვალდებულია(!), დაუყოვნებლივ აღძრას საქმე დეზერტირობის მუხლით. რატომ არ არის გამოცხადებული ინტერპოლის ხაზით შაშკინ-ახალაიას (დათა) ძებნა (ახლახან ახალაიასთვის წაყენებული ბრალდება აბსოლუტურად სხვა კატეგორიისაა!)?! ძებნაც რა საჭიროა, როცა შაშკინის ზუსტი ადგილსამყოფელი ცნობილია, ჟურნალისტმა ხომ ინტერვიუც აიღო, ამერიკის შტატი და მისამართიც გვამცნო და საცხოვრებელი შენობის ფოტოც მოგვაწოდა! იმიტომ, რომ ამერიკამ შეიფარა? იქნებ, მხოლოდ მათი ნებაყოფლობით ჩამოსვლის შემთხვევაში (ბაჩო ახალაიას ანალოგიურად), მიიღებს ზომებს პროკურატურა? ისე, ჯერ კიდევ საკითხავია, იყო კი გასული საქართველოდან ბაჩო, თუ სამეგრელოში იმალებოდა თავის ძმასთან ერთად? რატომ არაფერს გვეუბნებიან, თუ სად იყო იგი და საიდან შემოვიდა (თუ შემოვიდა, საერთოდ!) საქართველოში? დავიჯეროთ, გასვლა-შემოსვლის შტამპი არსად არ ჩაურტყეს პასპორტში, არც სარფში და არც – სხვაგან? იქნებ, დათაც სამეგრელოშია და არც ინტერპოლია საჭირო? ინფორმაციას ძმების ადგილსამყოფელის თაობაზე ხომ კარგა ხნის წინათ გვაწვდიდა კახა მიქაია ზუგდიდიდან?! ამ ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ დათას გარჩევა ბაჩოსგან ჩვენ გვიჭირს და, თქვენ წარმოიდგინეთ, უცხოეთში ბაჩოს საძებნელად ამხედრებულ ჩეჩენ-ქისტ-ქართველებს როგორ გაუძნელდებათ მისი ამოცნობა, სულ ადვილადაა შესაძლებელი ბაჩოს ნაცვლად დათა გამოასალმონ სიცოცხლეს და, როგორ გგონიათ, ძმები ახალაიები ამ საშიშროებას ვერ აცნობიერებენ?! ნუ ჩავთვლით მათ მთლად უტვინოებად!

სულ ფრთებიანი ანგელოზები რომ იყვნენ შაშკინი და ახალაია (დათა) და არავითარი დანაშაული არ ჰქონდეთ ჩადენილი (რომ არ ჰქონდეთ, არც გაიქცეოდნენ!), დეზერტირობა მათ არაფრით არ ეპატიებათ! მარტო ამისთვის უნდა დაისაჯონ ისინი უმკაცრესად! შაშკინის უსუსური თავის მართლება – ოჯახს ემუქრებოდნენ და იმიტომ წავედიო, 100-პროცენტიანი სიმართლეც რომ იყოს, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. თუ დავუშვათ (თეორიულად, ცხადია!) და ოჯახის დაცვა მართლაც არ ხერხდებოდა არასგზით, ბოლო-ბოლო, ცოლ-შვილი გაეშვა ამერიკაში, თორემ სად გაგონილა ამ „მიზეზით“ რომელიმე თავდაცვის მინისტრი პოსტს ტოვებდეს და უკანმოუხედავად, „ღლონტის ღორივით“ გარბოდეს ქვეყნიდან. იმდენი ჭკუაც არა აქვს ყოფილ განათლების(!) მინისტრს, რომ საერთოდ გაჩუმდეს და სისულელეები არ წამოროშოს!

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკას შეფარებული ჰყავს დეზერტირი(!) თავდაცვის მინისტრი, ის უხერხულობას კი არ გრძნობს, პირიქით, აქეთ გვამუნათებს „ნატოს“ პირით –კეთილი ინებეთ და მორჩით მინისტრების დაჭერებსო, თუ არ გინდათ პოლიტიკური ოპონენტების დევნაში ჩაგითვალოთო! „ნატოს“ გენერალური მდივნის – რასმუსენის, ევროპარლამენტის ამჟამინდელი პრეზიდენტის –შულცის, „ნატოს“ საპარლამენტო ასამბლეის და სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ფილიპ გორდონის კრიტიკულ გამონათქვამებს – ჩვენს საშინაო საქმეებში დიპლომატიური ენით ჩარევას, უამრავი საპასუხო გამოხმაურება მოჰყვა ფეისბუქზე თუ ჩვენს პრესა-ტელევიზიაში, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდები, სათქმელი ითქვა და შესატყვისი შედარებებიც გაკეთდა (ნიურნბერგის პროცესთან, უოტერგეიტთან).

მე შევჩერდები მხოლოდ გორდონის სიტყვებზე, რადგანაც ჩემი პასუხი საკმაოდ განსხვავებულია ხელისუფლების მიერ გაკეთებულისგან. როცა „შერჩევითი სამართლის“ დაუშვებლობაზე გვმოძღვრავს გორდონი, გულისხმობს იმას, რომ არ უნდა მოხდეს პოლიტიკური ნიშნით შერჩევა, თუმცა, ცხადია(!), სხვა სიტყვებით იმასაც გასაგებად გვეუბნება, რომ არ უნდა მოხდეს დამარცხებული ნაცმოძრაობის ლიდერების დაპატიმრება-გასამართლება. ახალი ხელისუფლების აუღელვებელი პასუხი, ანუ ამერიკა-„ნატო“-ევროპარლამენტისთვის მიცემული პირობა იმის თაობაზე, რომ შერჩევითი სამართალი არ იქნება, ერთი შეხედვით, სავსებით კორექტული და მისაღებია ყველასთვის, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი დაზუსტებას მოითხოვს. ამერიკა-ევროპას არავინ არ ეუბნება პირდაპირ, რომ ეს შეუძლებელია, რომ **დღევანდელ საქართველოში სწორედ შერჩევითი სამართალი იქნება კარგა ხანს, ეს გარდაუვალია!** რატომ?! ახლავე მოგახსენებთ!

ყველამ, ვინც კი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თვალს ვადევნებთ უკანასკნელი ხუთი წელი მაინც, კარგად ვიცით (და ეს არანაკლებად, თუ უკეთესად არა, იციან ამერიკა-ევროპაშიც!), რომ აბსოლუტურად(!) ყველა თანამდებობა საქართველოში, პრეზიდენტიდან დაწყებული სოფლის გამგებლამდე, მხოლოდ და მხოლოდ ნაცმოძრაობის წევრებს, აქტივისტებს და მის აშკარა მხარდამჭერებს ეკავათ (და დღესაც უკავიათ ბევრ რაიონში, მერიაში, სასამართლოებში). ოპოზიციურად მოაზროვნეებს არათუ თანამდებობებზე არ ნიშნავდნენ, არამედ 100-200-ლარიანი სამსახურებიდანაც ათავისუფლებდნენ, თუკი ისინი ნაცების პოლიტიკის მიმართ თავიანთ უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამდნენ, ან სულაც, თუ ოპოზიციის მიტინგზე დალანდავდნენ მათ! განსაკუთრებით აქტიურებს კი, სამსახურის დაკარგვას ვინ დაეძებს, თავისუფლებასაც აკარგვინებდნენ იარაღნარკოტიკების ჩადებით ან მოგონილი „პოლიციისთვის გაწეული წინააღმდეგობის“ ბრალდებით.

რაც შეეხება დადასტურებულად ჩადენილ დანაშაულს, ამისთვისაც, როგორც წესი, ძირითადად ისჯებოდნენ ოპოზიციაში მყოფნი და არა – ნაცების მხარდამჭერნი და, რაღა თქმა უნდა, არავინ არ ისჯებოდა ნაცების ელიტიდან. მათი რიგებიდან მხოლოდ მაშინ უსწორდებოდნენ ვინმეს, თუ იგი ოპოზიციაში გადავიდოდა. ერთი სიტყვით, ნაცებიდან ციხეებში არავინ არ ხვდებოდა და, თუ ხვდებოდა (ასეთი სულ რამდენიმე კაცი იყო ამ ცხრა წლის მანძილზე, ძალიან გახმაურებულ მკვლელობებში მონაწილენი), სამუდამო პატიმრობის ნაცვლად რამდენიმე წელს უსჯიდნენ, თანაც არა „პარაშასთან“, არამედ – რესტორნის მენიუს მქონე სპეცკამერებში.

რაც კი რამ გამოუძიებელ-დაუსჯელი(!) დანაშაულია ჩადენილი საქართველოში, ყველა ჩადენილია ნაცმოძრაობაში გაერთიანებული პირების მიერ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სწორედ ამ დამნაშავე ნაცმოძრაობის საქმეები უნდა იქნას გამომზეურებული, სხვა, ფაქტობრივად, არც არსებობს! არ არსებობს უბრალო მიზეზის გამო – ყველა სხვა დამნაშავე გასამართლებული და უმკაცრესად დასჯილია. ამაზე მეტყველებს პატიმართა გაუგონარი რაოდენობაც ჩვენს ციხეებში და ასევე უზარმაზარი არმია იმ პირებისა, რომლებმაც საპროცესო გარიგებებით დაიღწიეს თავი საპყრობილეებში არსებულ ჯოჯოხეთურ პირობებს. იქ, სადაც პირველივე(!) დანაშაულზე – ერთი ფიცრის, ქვაბის, მობილურის, საბურავის, ძეხვის, პურის, 15 ლარის ნიგვზის ან 40 ლარის ჯართის მოპარვისთვის რამდენიმე წლიდან 11 წლამდე უსჯიდნენ, როგორ გგონიათ, იქ დაუსჯელი ვინმე დარჩებოდა?! ცხადია, არავინ! თანამდებობებზე თბილად მოკალათებული ნაცების გარდა!

ასე რომ, გვინდა თუ არ გვინდა (ძალიანაც გვინდა!), გამოსაძიებელი მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავე ნაცების მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონია“! უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა რომ არ დამწამონ „კანონმორჩილმა“ ნაცებმა, ამიტომ ზოგადი მნიშვნელობის სიტყვის – „დამნაშავის“ ნაცვლად, ზუსტ შესატყვის და ფაქტებით დადასტურებულ სახელებს ვიხმარ. **ნაცები, თითქმის ყველანი, უნდა გასამართლდნენ როგორც: მკვლელები** – გასამართლების გარეშე ასობით ადამიანის ჩახოცვისთვის და მოწამვლისთვის (ქუჩებში, ოჯახებში, პოლიციაში, ციხეებში), **სადისტები** – ათასობით ადამიანის წამებისთვის (პოლიციაციხეებში მათთვის ჭრილობების, დამწვრობების, მოტეხილობების მიყენების და დაუნდობელი ცემისთვის; დადასტურებული მოწმეების ჩვენებით, სხეულზე დარჩენილი წამების წარუშლელი კვალით და დოკუმენტური ვიდეოკადრებით), **ყაჩაღები** – ათასობით ადამიანის ქონების მიმტაცებლები (ძალით, „ჩუქების“ გზით მიწების, ბიზნესის წამგლეჯები, საპროცესო გარიგებების და უკანონო ჯარიმების გზით მილიონების გამომძალველები; დადასტურებული დოკუმენტურად და აღძრული საქმეების რაოდენობით), **ხაზინის ქურდები** (ბიუჯეტის, გაღატაკებული ხალხის გადასახადების ხარჯზე მოგზაურობებში, კაზინო-სტრიპტიზ-კლუბებში მოგრიალენი; ესეც დოკუმენტურად დადასტურებული), **სახელმწიფოს და ხალხის მოღალატენი** (საომარი მოქმედებების ზონაში ჩატოვებული მშვიდობიანი მოსახლეობის სასიკვდილოდ გაწირვისთვის, ჯარისკაცების – ცოცხალის და დაღუპულის მიტოვებისთვის, ორდღიან ომში უამრავი ამოუცნობი ცხედრისთვის, 20 % ტერიტორიის დაკარგვისთვის, პატიოსანი სამხედრო თუ სამოქალაქო პირების დასაპატიმრებლად შეთითხნილი ბინძური სცენარებისთვის – ამბოხის, შეთქმულების, ჯაშუშობის, დივერსიული და ტერორისტული აქტების დაბრალებისთვის; იქნებ რომელიმე მათგანია საეჭვო?!), **სახელმწიფო ტერორისთვის** (მშვიდობიანი მომიტინგეების, მოშიმშილე ვეტერანების უპრეცედენტო სისხლიანი დარბევებისთვის, ქართული „უოტერგეიტებისთვის“, ტოტალური თვალთვალ-მოსმენებისთვის და მოსახლეობაში საყოველთაო შიშის დათესვისთვის; ამას ხომ მტკიცებაც არ უნდა, მთელი საქართველოა მოწმე!). **ყველაფერი ამის ჩამდენი ნაცმოძრაობის ზუსტი სახელი არის დამნაშავე(!), სასამართლომ მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე უნდა განსაზღვროს,** თანაც არა მარტო ბრძანების გამცემი პირველი პირების (უპირველესად!) და შემსრულებლების, არამედ – ნაცმოძრაობისა საერთოდ! დამნაშავეა ყველა – როგორც ნაცმოძრაობის აქტიური ნაწილი, ისე მისი პასიური ფრთაც. ლამის დამლაგებლები დაადანაშაულეს ციხის კადრების შემდეგ, ხმას რატომ არ იღებდნენო და, ნაცმოძრაობის გატრუნული მინისტრ-დეპუტატები, აქაოდა, ჩვენ არაფერში არ ვართ გასვრილიო, უდანაშაულონი არიან? პასუხი მათაც უნდა აგონ დანაშაულის დაფარვისთვის!

აი, ყოველივე ზემოთქმულის გამო, ერთი დიდი, ნაცმოძრაობად წოდებული ორგანიზაციის მიერ ჩადენილი ათასობით(!) დანაშაულის გამო იქნება სამართალი შერჩევითი, და არა რაიმე სხვა მიზეზის გამო!

მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაში განსაკუთრებულ ზიზღს იწვევს ნაცების „მოლაპარაკე სახეების“ გამომწვევი ქცევა და უტიფარი გამოსვლები. რისი იმედი აქვთ ასე დიდგულზე რომ არიან? მათი გათვლა, ჩემი აზრით, მარტივია: ნაცები ფიქრობენ და, არცთუ უსაფუძვლოდ(!), რომ ათასობით(!)დანაშაულის გამოძიების ანალოგი პრეცედენტი მსოფლიოში არ ყოფილა და, რომ ამერიკის გამოზრდილ-შერჩეული პრეზიდენტ-მინისტრების და სხვა მაღალჩინოსნების დაპატიმრებას თავად ამერიკა არ დაუშვებს, არ დაუშვებს არსად მსოფლიოში და, მით უფრო, მის მიერ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულ, რეგიონში მისაბაძ და ყველაზე გაპიარებული პრეზიდენტის ქვეყანაში, ეს ხომ მისი სირცხვილიც იქნება! დიდი-დიდი, რამდენიმე მაღალჩინოსანი და რამდენიმე ათეული დაბალჩინოსანი გასწირონ.

გამორიცხულია მოვლენების ასეთნაირი განვითარება?! სრულებითაც არა! ყველა დამნაშავის დაპატიმრება კი არა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რა ოპერატიულად გამოეხმაურნენ და რა „გენიალური“ ფრაზით („ჩვენთან მინისტრებს არ იჭერენ“), №1 დამნაშავე-შემსრულებლის – ბაჩო ახალაიას დაკავებას, ეს ძალიანაც ადვილი დასაშვებია!

იხ. 4 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კართაგენი უნდა დაინგრეს!

(მესამე გვერდიდან) ბევრისთვის ყველაფერი ნათელია , მაგრამ უფრო მეტს ბუნებრივი კითხვა ებადება: რატომ იცავს ასე თავგამოდებით დასავლეთი სააკაშვილს და მის ხელისუფლებას? „ვარდების რევოლუციიდან“ დაწყებული არჩევნების ბოლო წუთამდე(!), ხაშურის ცნობილ ინციდენტამდე (ანუ სანამ მთელმა მსოფლიომ არ იხილა შეიარაღებული ნიღბოსნების და პოლიციელების მიერ საარჩევნო ბიულეტენების გატაცება!), ამერიკა აშკარად აფარებდა ხელს მათ. ეს არც იყო დამალული – მთელი ამ ხნის მანძილზე საქართველოში გამეფებული უსამართლობის, სისხლიანი დარბევების, წამება-მკვლელობების და პოლიტიკური დევნის მიუხედავად, მხოლოდ ცარიელი სიტყვები – „შეშფოთებები“ გვესმოდა კანტიკუნტად, მეტი არაფერი!

მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამერიკამ გადაგვარჩინა ხაშურის სცენარის გავრცელებისა და კიდევ უფრო საშიში დაპირისპირებისგან, ხელის დაფარება დღესაც იგრძნობა, სამართლიანობის აღდგენის ნიშნების გამოჩენისთანავე ყველამ ერთად დაგვიწყო რჩევა-მითითებების მოცემა. ცხრა წელი კრიმინალზე ხუჭავდნენ თვალს და ახლა სამუდამო პატიმრობის ღირსი დამნაშავეების დაკავებას რამდენიმე დღეში ეხმაურებიან დიპლომატიური თითის ქნევით! უცნაურია, არა?! ვინც ამერიკის გლობალურ ინტერესებს იცნობს, მისთვის არც არაფერია უცნაური! უცნაური უფრო ის უნდა იყოს, თუ რატომ არ უჭერს ამერიკა ისევე აშკარად მხარს ახალ ხელისუფლებას, როგორც ძველს – ნაცებისას. ახალი ხელისუფლება, რომელიც არჩევნებით მოვიდა, საგარეო პოლიტიკას ხომ იოტის ოდენადაც არ ცვლის(!) და ისევ ამერიკა-„ნატოზეა“ მიჩერებული?! იგი ხომ მხოლოდ იმით განსხვავდება ძველი ხელისუფლებისგან, რომ ქვეყანაში სამართლის დამყარება სურს და გაჭირვებული ხალხისთვის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნა?!

ძაღლის თავი და ყველაფერზე პასუხიც აქ არის დამარხული! ამერიკას სწორედ ეს არ აძლევს ხელს, მან შესანიშნავად იცის, რომ წელგამართული და სამართალს შეჩვეული ხალხის სახელმწიფოს (ხელისუფლების!) მართვა თავის ჭკუაზე მას გაცილებით გაუძნელდება, ვიდრე – დაგლახებულ-დაშინებული ხალხის! თუმცა, არსებობს მეორე მიზეზიც ამერიკა-ევროპის მხრიდან ნაცების დაცვისა. ძალიან ძნელია მათი მხრიდან იმის აღიარება, რომ საქართველოს, თურმე, წლების მანძილზე მართავდა არა „კორუფციის აღმმფხვრელი“ ხელისუფლება, არამედ – კრიმინალური ბანდა! ეს მნიშვნელოვანი არგუმენტია, მაგრამ არა ისეთი, როგორიც პირველი. ამას შედარებით ადვილად მოუძებნიდნენ ახსნას სურვილის შემთხვევაში. იტყოდნენ, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება დასაწყისში, პირველ წლებში კარგები იყვნენ, მაგრამ მერე თავში აუვარდათ, ძალაუფლებამ ისინი გარყვნაო! მართალია, ეს უსუსური თავის მართლება იქნებოდა, რადგან არც ბოლო წლებში შეუწყვეტია პოლიტიკურ-ფინანსური მხარდაჭერა სააკაშვილის ხელისუფლებისა, მაგრამ გულუბრყვილო ხალხს (და ასეთია უმრავლესობა!) მაინც დააჯერებდნენ. რომ აწყობდეთ, ასეც მოიქცეოდნენ და, მაშინ ახალი ხელისუფლების პირველ ნაბიჯებს – სამართლიანობის აღდგენის მცდელობას, მხოლოდ მიესალმებოდნენ და არა – პირიქით! ისე კი, ვერ გამიგია და ვერც ვერასოდეს გავიგებ ალბათ, რა ინტერესი უნდა გქონდეს ან რა მზე და მთვარე უნდა ამოგდიოდეს პრეზიდენტზე ისეთი, რომ მას და იმ ხელისუფლებას დაუჭირო მხარი, რომლის სამი უპირველესი მნიშვნელობის მინისტრი (თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის) და მთავარი პროკურორი ქვეყნიდან გაქცეულია(!), გაქცეულია არა რევოლუციის, არა სამოქალაქო ომის პირობებში, არამედ – არჩევნების შემდეგ!

ჩვენ, ჩვენ რა უნდა ვიღონოთ, როცა ძალა აღმართს ხნავს. თუ-

კი დეზერტირი(!) მინისტრის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ ვერ ვიღებთ ხმას, რომ იგი ამერიკას ჰყავს შეფარებული, თუ დამნაშავეზე დამნაშავეს ვერ ვიტყვით და ვერ გავბედავთ გასამართლებას „პოლიტიკური ოპონენტის“ დევნის იარლიყის მოკერების შიშით და, ერთი სიტყვით, თუ თავის წაღუნვაა მხოლოდ „გამოსავალი“, მაშინ რაღა შორეულ ამერიკას, ბარემ ერთმორწმუნე მეზობელ რუსეთს წავულუნოთ, თავის დახრაც ნაკლებად დაგვჭირდება და – კისრის წაგრძელებაც, თან ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი – „შეჩვეული ჭირი ჯობია შეუჩვეველსო“.

რუსებთან ურთიერთობაში საკუთარი ინტერესების დაცვის მეთოდებიც საკმაოდ დავხვეწეთ 200 წლის მანძილზე (ეს არ გახლავთ ხელწამოსაკრავი არგუმენტი!), ენასაც უფრო ადვილად შევინარჩუნებთ და, ცხადია, რწმენასაც; მამულს, მის გამთლიანებას კი მხოლოდ და მხოლოდ(!) რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით თუ მივაღწევთ, შორეულ პერსპექტივაში მაინც, და ვერასოდეს – რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯებით!

ფაქტია, რუსეთი, თავისი 200-წლოვანი ბატონობის მანძილზე, მაინც ვერ დაგვაჯდა თავზე ისე, როგორც მას უნდოდა, ვერც ცარიზმის და ვერც კომუნისტების დროს, რუსული ჩექმის (ჯარის) საქართველოში მუდმივად ყოფნის მიუხედავად! ახლა კი უჯაროდ, მხოლოდ ეკონომიკური ბერკეტებით, სულგაყიდული ხელისუფლების (ნაწილობრივ მოცილებული ჭირის!) და სოკოებივით მომრავლებული ე.წ. არასამთავრობოების, ანუ ფინანსურად არაჩვენ (უცხო!) მთავრობებზე დამოკიდებული ორგანიზაციების ხელით ისე გვმართავენ, როგორც მოეპრიანებათ! **ცოტა გონს მოვიდეთ, თორემ ხომ ხედავთ როგორ აფასებენ ყველაფერს უკულმართად – ტირანიაზე გვეუბნებიან – დემოკრატიას, ურცხვად გაყალბებულ არჩევნებზე (თანაც, ყველაზე!) – სანიმუშოს, დამნაშავეზე – პატიოსანს, სადისტზე და მკვლელზე – პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულს და, მეტი „უკეთესი“, ჩვენი გამოსაფხიზლებელი(!) რაღა უნდა გვითხრან.**

ჩემი ვრცელი კომენტარის რაღაც ნაწილი, შესაძლოა, თემიდან გადახვევად მოეჩვენოს ზოგიერთს, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის, ვინაიდან წერილის დასაწყისში თავდაცვის მინისტრის დეზერტირობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაში და ამერიკა-ევროპის მაღალჩინოსნების მიერ პრაღა–ბრიუსელ-თბილისში ნოემბრის შუა რიცხვებში გაკეთებულ განცხადებებში კარგად ჩანს, თუ რა პრობლემების წინაშე ვდგავართ. **ისიც ადვილი მისახვედრი უნდა იყოს, რომ დღეს უკან დახევა საქართველოს და ქართველი ხალხის ღალატის ტოლფასი იქნება. თუ გამოცხადებული სამართალის დამყარების კურსიდან უკან დაგვახევინეს, არავითარი ეკონომიკური წარმატება არ გვიშველის** (არც გვექნება!).შუა გზაზე შეჩერება და ნაწილობრივი სამართლის აღდგენით დაკმაყოფილება არაფრით არ შეიძლება, სამართალმა ყველას გულებში და ოჯახებში უნდა იზეიმოს! რევანშიზმი მაშინაა მიუღებელი, თუ ის უკანონო გზებით ხორციელდება, **არჩევნებით რევანში და კანონით განხორციელებული სამართლიანი(!) ანგარიშსწორება მისასალმებელია და აუცილებელიც (ყველაფერი ხომ ანგარიშითაა)!** თუ სამართალმა პური არ ჭამა, ხვალ ისევ წამოყოფენ თავს ნაცები და, დიდი ალბათობით, უფრო მეტი სისასტიკით წამოგვაჯდებიან კისერზე.

ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საზოგადოების მეტი აქტიურობა, ბიძინა ივანიშვილის და ხელისუფლების არჩეული კურსის (სამართლებრივი კუთხით) მხარდაჭერა საჯაროდ და ხმამაღლა, რათა ყველამ – შინ და გარეთ დაინახოს და შეიგნოს, რომ უსამართლობას აღარ შევეგუებით!

ახალი ხელისუფლება, რომელსაც ძალაუფლება ჯერ კიდევ არა აქვს სრულად აღებული ხელში, ამ ეტაპზე ჩვენს განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებს იმათთან გასამკლავებლად, ვინც ნაცების დამნაშავე ხელისუფლების გათეთრებას და სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას ცდილობს, ვინც სააკაშვილს და ივანიშვილს ერთ სიბრტყეში განიხილავს, და „დიპლომატიურად“ ერევა ჩვენ საშინაო საქმეებში! კანონის სრული დაცვით სამართლის გზაზე სიარულისთვის გვაძლევენ შენიშვნებს და, ხომ წარმოგიდგენიათ, ერთი ფეხი რომ გადაუბრუნდეს ივანიშვილს, რა ამბავს დაგვაწევენ! უნდა მოვითხოვოთ პროკურატურაში შესული აბსოლუტურად ყველა საჩივრის განხილვა, თუნდაც ამას წლები დასჭირდეს, და დამნაშავეების კანონის ძალით დასჯა, ვინაც რა უნდა თქვას ოკეანის გაღმა თუ გამოღმა!

სამართალი და მხოლოდ სამართალი! სხვა ყველაფერი, სამართალს მოაქვს!

კართაგენი კი, კართაგენი (ნაცმოძრაობა) უნდა დაინგრეს!

იაკობ ლეჟავა,
22 ნოემბერი, 2012

◎ სადაც გინდათ, იქ მიჩივლეთ!

იმიტომ, რომ საქართველო არის ესე!!!

„ჩვენ, ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნებაყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლეხთა: ღვთის მოწყალებით ამას ზედა დიაღ გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთისგანმარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენს ხალხს მაინც ვაფრთხილებთ: ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებლისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით (ჯაჯა – ტანჯვა-წამება) დაიხოცნენ!

ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ“...

ეს გახლავთ ციტატა, კანონიკურ ეპისტოლეთაგან ერთ-ერთიდან, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და რომელიც მეფე ერეკლე მეორეს ნებართვით კათალიკოს ანტონ პირველს გამოუცია 1767 წელს. ხოლო ციტატა თავად დიდი ხელმწიფის ამ ეპისტოლეზე დანართიდანაა.

„დემოკრატიული“ დასავლეთის პრესა გაივსო აშკარად ნაცბანდის მიერ შეკვეთილი სტატიებით, რომლებშიც „ქართულ ოცნებას“, ოპოზიციის მანტიამოსხმული ნაციონალების პოლიტიკურ დევნაში სდებენ ბრალს.

აღარც ეს იკმარეს და, ფრანგულ პრესაში მსგავსი მასალების გვერდით გაჩნდა პარლამენტის ვიცესპიკერის და პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ქალბატონ მანანა კობახიძის ინტერვიუ, რომელიც, როგორც თავად ქალბატონმა მანანამ განაცხადა, წელიწადნახევრის წინ მიუცია და უფრო მეტიც, დღეს, დამახინჯებული სახით დაუბეჭდავთ.

ერთი სიტყვით, ამ ინტერვიუში „კრიმინალი“ ის გახლავთ, რომ იგი აცხადებს – **სექსუალური უმცირესობების უფლებები უნდა დავიცვათ, მაგრამ ამასთან შეგუება, როგორც მართლმადიდებელს, მიჭირსო!**

ჰოდა, აგორდა მანანა კობახიძის კრიტიკა ფრანგულ „ფიგაროში“, მაგრამ თავშიც ქვა უხლიათ ფრანგებს და პარიზელებს, რომლის მერი გაცხადებული გეი, ჩვენებურად პედერასტია. სხვათა შორის ისევე, როგორც ბერლინის მერი, ხოლო ციურიხს ლესბოსელი მერი ჰყავს და ახლა ევროპა იმის მარჩიელობაშია, რომელი ქალაქი იქნება მეოთხე?!

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბავს მყისიერად გამოეხმაურნენ ჩვენი ადგილობრივი ე.წ. არასამთავრობები, რომლებიც, როგორც ნაწვიმარზე სოკოები, ისე მრავლდებიან დასავლეთის გრანტებით „დანამულ“ საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ მათ თითქოს სხვადასხვა სახელები ჰქვიათ, მათ მაინც ერთი მშობელი დედა ჰყავთ – **ავად სახსენებელი უხსენებელი, „თავისუფლების ინსტიტუტი“,** რომელიც ახლა ვითომ ჩრდილშია, მაგრამ ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ყოველი ანტიეროვნულის, ანტიმართლმადიდებლურის საბუდარი სწორედ იქ არის!..

ჰოდა, ვინ თუ არა ადგილობრივ „ენჯეოთა“ აღიარებული ლიდერი, ე.წ. „საია“ მოგვევლინა ქალბატონ მანანას, ზოგადად „ქართული ოცნების“ და ქართველი საზოგადოების განმქიქებლად – მანანა კობახიძე ქსენოფობი, სიძულვილის ენით მოსაუბრეაო. იგივე ბრალდებებით გადასწვდნენ და გაიხსენეს: სოსო ჯაჭვლიანი, მურმან დუმბაძე, დავით დარახველიძე და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ცნობილი „ფაშისტები“, რობიკო სტურუა და რეზო ამაშუკელი დავიწყებიათ...

აშკარად განერვიულებულმა, შეურაცხყოფილმა მანანა კობახიძემ კი, **– დიას, ყველას, მათ შორის, სექსუალური უმცირესობების უფლებები უნდა დავიცვათ, მაგრამ, რა ვქნა, მამათმავლობა, ერთსქესიანი ქორწინებები არ მომწონს და მიუღებელია ჩემთვისო!**

ბარაქალა, ქალბატონო მანანა, თქვენს ქართველ ქალობას და რაც თქვენ ვერ თქვით პოლიტიკური სტატუსის გამო, მე შეგაშველებთ...

ამ „ენჯეოებს“ თუ დავნებდით, მალე ის დრო დაგვიდგება, რომ „მე ქართველი ვარ“, ამის ხმამაღლა თქმასაც აგვიკრძალავენ, ხოლო ქართველმა თუ ქართველი სიძერძალი ინატრა, როგორც ეს დავით დარახველიძეს წამოსცდა, ასეთი „იაღლიშისთვის“, ალბათ, დაგვხვრეტენ კიდეც!..

საქართველო 100 ათასი წმინდანის, სამასი არაგველის, 9 ძმა ხერხეულიძის, ბოლოს და ბოლოს, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და თუნდაც მხოლოდ ამიტომ ქართველი კაცი და, სხვათა შორის, არა მარტო ქართველი, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების აბსოლუტური უმრავლესობა, არ დაუშვებს ერთსქესიან ქორწინებებს, პედერასტების ქალაქის მერებად არჩევას და ა.შ. სხვა მრავალ ლიბერასტულ „სიკეთეს“, გინდაც ამის გამო ეს „არასამთავრობოები“ თუ მათი დასავლელი დამფინანსებლები ნაკერავზედაც რომ გაირღვნენ!

ასე იქნება, რადგან საქართველო არის ესე!!!

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ (ვისთვის როგორ), დღეს არც XVIII საუკუნეა და პატარა კახიც დიდი ხანია სვეტიცხოველში წევს. **ამიტომ დიდ მეფესავით პედერასტების „ჯაჯაებას“ არავინ ითხოვს, მაგრამ პედერასტებს თუ აქვთ საკუთარი უკანალის მურდლად ქნევის უფლება, ამას მხოლოდ სიყვარულით უნდა ვუყუროთ?**

ჰოდა, ხმამაღლა ვაცხადებ – „ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებლისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი“, ყველანი მძულხართ და მეზიზღებით!

წადით ახლა და „სიძულვილის ენის“ გამო, როგორც მამაჩემის თაობის თბილისში იტყოდნენ ხოლმე, ზემელის დამწვარ აფთიაქში მიჩივლეთ!

დავით მხეიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საჭიროა ნაკლებად გამაღიზიანებელი და გამომწვევი რიტორიკა

ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში გამოსვლის დროს ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთ-ერთი ჟურნალისტის დასმულ კითხვას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ, უპასუხა, რომ პრობლემა უახლოეს მომავალში არ გადაიჭრება და საერთოდ საკითხის დადებითად გადაჭრა დაკავშირებულია რეგიონულ და მსოფლიო პოლიტიკასთან.

ჟურნალისტებს აინტერესებდათ, შეუშლის თუ არა ნატოსკენ სწრაფვა, რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას. მინისტრის პასუხი იყო ის, რასაც საქართველოს მოსახლეობა ისმენს ახალი ხელისუფლებისგან დღიდან არჩევნების დასრულებისა - ნატოც და რუსეთიც, თანაც არავითარი პოლიტიკური კონტაქტები, ვიდრე სოხუმსა და ცხინვალში რუსეთის საელჩოები და სამხედრო ბაზებია.

მინისტრის განცხადება იყო კატეგორიული, შეუვალი, ულტიმატუმის მსგავსი, ისეთი, თითქოს საქართველო ყოფილიყოს რუსეთი, თითქოს რუსეთს აქვს სახვეწი საქართველოსთან და არა – პირიქით. შედარებით დიპლომატიური იყო პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენლის (რუსეთთან ურთიერთობაში) მიერ გაკეთებული განცხადება რუსული ტელეკომპანია „RTR პლანეტის“ ეთერში – ორივე ქვეყნისთვის არსებობს წითელი ხაზები, რომლის იქით გადასვლა შეუძლებელია, მაგრამ იქნებ მოგვესინჯა ხაზებს შორის სივრცის ათვისებაო.

საინტერესო იყო რეინტეგრაციის მინისტრის განცხადებაც სოხუმ-თბილისის რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით, რომელსაც დიდი კრიტიკა მოჰყვა როგორც სოხუმში, ისე თბილისში.

ასევე აღსანიშნავი იყო პრემიერ-მინისტრის ბრიუსელში გაკეთებული განცხადება – გაოცებითა და წყენით – სპეცწარმომადგენელი დავნიშნე რუსეთთან ურთიერთობის აღსადგენად და იქიდან პასუხი არ არისო. რა გაეწყობა, ასეთია ჩვენი მეზობელი რუსეთი. ნაცვლად იმისა, რომ სიხარულით ხელი გაშალოს და გულში ჩაგვიკრას, პასუხსაც გვამადლის.

რუსეთთან ურთიერთობის თაობაზე პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებთან შეხვედრის დროსაც ილაპარაკა, თუმცა კონკრეტული ნაბიჯების შესახებ მას გაუჭირდა პასუხის გაცემა. პრემიერმა გამორიცხა თავისი შეხვედრა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოსკოვში, მაგრამ შესაძლებლად მიიჩნია ნეიტრალურ ქვეყანაში შეხვედრა. პრემიერმა გულდაწყვეტით აღნიშნა, რომ არათუ მისი, არამედ სპეცწარმომადგენელის ვინმესთან შეხვედრის შანსიც კი ჯერჯერობით არ ჩანს.

რუსეთი არ ჩქარობს, ვინაიდან არსად ეჩქარება. ცხადია, ნატოში საქართველოს ხილვის მას არავითარი სურვილი არ აქვს, მაგრამ თუ ეს მოხდება, რუსეთს თავისი განაღდებული აქვს – დაკავებულ ტერიტორიებზე საკუთარი სამხედრო ბაზების სახით. ვისაც უნდა ეჩქარებოდეს, ის ამბობს, რომ დაკარგულის დაბრუნება ახლო მომავალში შეუძლებელია და თანაც დაკავშირებულია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან.

შეიძლება აღნიშნულიდან გამომდინარე ითქვას, რომ ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის განსხვავება „დიდია“, რაც გამოიხატება „წითელ ხაზებს“ შორის სივრცის შევსებაში, ანუ სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების აღდგენასა და სხვა მომენტებში – საქართველოსთვის მნიშვნელოვანში, რუსეთისთვის – ნაკლებად.

ქართული მხარე საქმის მოგვარებას „ბორჯომით“ და ღვინით, ცეკვა „ხანჯლურით“, ბრეგვაძე-კიკაბიძით აპირებს. მაგრამ აქვს თუ არა მას რუსეთის უზარმაზარი ბაზრისთვის საკმარისი მინერალური წყალი და ღვინო, სხვა საკითხია.

ემბარგოს დაწესებამდე წყალ-ღვინის ექსპორტი საბჭოეთისდროინდელ ფალსიფიკაციის კონვეიერს მიჰყვებოდა, ანუ მოსკოვში ჩამოსხმულ „ბორჯომსა“ და „ღვინოს“. ამ კონვეიერის აღდგენა ონიშჩენკოს პირობებში შეუძლებელია. გარდა ამისა, რუსეთის ბაზარი სხვა ქვეყნების პროდუქციამ დაიკავა, რომლის ჩაჩოჩება საქართველოს გაუჭირდება.

ძველი პოზიციების დაბრუნება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ თვით რუსული ბიზნესი ითავებს ამ საქმეს, ის ჩაერთვება პროცესში, ის შეარჩევს და გაიტანს თავის ქვეყანაში ქართულ პროდუქციას, ის განსაზღვრავს საექსპორტო მოცულობას, შესაბამისად კაპიტალსაც დააბანდებს და ტრანსპორტირებასაც მოახერხებს - მასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების გადალახვით, სხვა პრობლემების მოგვარებით.

სააკაშვილის წყალობით ყველაფერი თავიდან არის დასაწყები და რაც ადრე ამუშავდება ეს სისტემა, მით უკეთესი იქნება საქართველოს სოფლისთვის.

სოფლის ამუშავების შემდეგ ქალაქიც სულს მოითქვამს – ასე გვპირდება ხელისუფლება. გაუმჯობესდება სოციალური პირობები, აგუგუნდება ქარხანა-ფაბრიკები, ყველა დასაქმდება, იმდენი სამუშაო ადგილი გაჩნდება, რომ ქუჩაში უსაქმურად მოხეტიალეს სამართალი არ აცდება, ანუ დადგება ჟამი ანდროპოვისა. სამოც წელს გადაშორებულებს, ალბათ, ახსოვთ ის დრო, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე დღისით-მზისით მოსეირნე ხალხს აკავებდნენ და მკაცრად ეკითხებოდნენ, რატომ არ ხართ სამსახურშიო.

და დადგება ჟამი საამური, რაც თავისთავად გააღვიძებს საქართველოში აფხაზთა და ოსთა სამუდამო დაბრუნების სურვილს. რწყილისა და ჭიანჭველის იგავ-არაკის არ იყოს – ჩვენ ვთხოვთ რუსეთს, რუსეთი მოგვცემს შანსს, რითაც აღვადგენთ სოფელს, სოფელი გამოკვებავს ქალაქს, ქალაქი აამოქმედებს მრეწველობას, ორივე ერთად (სოფელ-ქალაქი) – ეკონომიკას, ეკონომიკა – ადამიანის სოციალურ პირობების გააუმჯობესებას, წარმატებული ქვეყანა და ხალხი მოხიბლავს გაქცეულ ავტონომიებს, ისინიც დაუყოვნებლივ ჩაგვეხუტებიან და დაიწყება ქართველთა, აფხაზთა და ოსთა საამური თანაცხოვრება, და...?

და ამის სულისჩამდგმელი ვინ გამოდის? ცხადია, დღემდე „მზაკვრად“, „ოკუპანტად“, „დამპყრობლად“ მონათლული რუსეთი. ნეტავ რამდენი დრო დასჭირდება „რწყილისა და ჭიანჭველის“ ოცნების ფრთაშესხმას? ან მზად იქნება 20 წლის განმავლობაში უმადურ ქართველთაგან გათათხულ-გალანძღული, თავს ლაფდასხმული რუსეთი საქართველოს თხოვნის შესასრულებლად?

რუსეთს არსად ეჩქარება. არც აფხაზები და ოსები ჩქარობენ, მათ, თუ რამე აჩქარებთ, რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობა და საერთაშორისო არენაზე ფეხის მოკიდებაა. საქართველოსთან რაიმე სახის კომუნიკაცია თავდაუსხმელობის პაქტზე გადის, რაზეც ოფიციალური თბილისი მზად არ არის. სოხუმს არც რკინიგზის აღდგენა ხიბლავს, ვინაიდან იცის, რომ მას უკონტროლო ურთიერთობა მოჰყვება, ლტოლვილთა შესაძლო დაბრუნებით.

რა თემებზე ილაპარაკებენ ან საერთოდ ილაპარაკებენ თუ არა თბილისი-სოხუმი – ძნელი გამოსაცნობია.

ამ კვარტეტიდან თუ ვინმეს უნდა ეჩქარებოდეს, თბილისია, რამეთუ ყოველი გასული წელი არსებული გაუცხოების განმტკიცებაა. გაუცხოება არა მარტო იქით მხარეს მძვინვარებს, აქეთაც. არც ერთმა არ ვიცით, რით ვცხოვრობთ, რით ვსუნთქავთ, რაზე ვოცნებობთ. ქართული მედია, განსაკუთრებით ელექტრონული, შიდა სენსაციებით იკმაყოფილებს თავს.

ჟურნალისტიკის წყალობით, ხალხში ისეთი შეგრძნებაა, თითქოს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთი შორეულ სამხრეთ აფრიკაში მდებარეობს. როგორც ჩანს არც ახალ ხელისუფლებას აქვს ჯადოსნური კვერთხი, თუ სპეცწარმომადგენლის დანიშვნას არ ჩავთვლით ასეთად ამ შემთხვევაში, საგარეო საქმეთა მინისტრისა არ იყოს – მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს უნდა დაველოდოთ ან რუსეთში სავარაუდო პოლიტიკურ მიწისძვრას.

სხვათა შორის, სააკაშვილის ხელისუფლებაც ამის მოლოდინში იყო, თან იატაკქვეშ, რუსული ბუნტის დაწყებისთვის ყველაფერს ღონობდა. გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილის განცხადება – ჩვენ სხვა რუსეთთან გვექნება ურთიერთობაო – მას უდავოდ უდალცოვი და მისი მსგავსი „რევოლუციონერები“ ჰყავდა მხედველობაში.

თუ საგარეო საქმეთა მინისტრის ფორმულით ვიხელმძღვანელებთ – ინტეგრაციის თემა და არა პროცესი მრავალი წლის განმავლობაში გაიჭიმება. მსოფლიოშიც რაღაც მოხდება გუშინდელი, მით უმეტეს გუშინწინდელი დღისათვის მოულოდნელი და უცხო.

მაგალითად, 1945 წელს ვერავინ იფიქრებდა, რომ დამარცხებულ გერმანიასა და გამარჯვებულ რუსეთს შორის მჭიდრო, პრაგმატული ურთიერთობები ჩამოყალიბდებოდა, ვერც 1812 წლის ნაპოლეონის შემოსევის შემდეგ იფიქრებდნენ, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისა და 21-ე საუკუნის პირველი დეკადის რუსულ-ფრანგული ურთიერთობები ესოდენ კონსტრუქციული გამოდგებოდა. მით უმეტეს ვერავინ წარმოიდგენდა, თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, რომ ვიეტნამის ომის შემდეგ ამერიკა-ვიეტნამის აუწერელი ურთიერთსიძულვილი ლამის ძმობით შეიცვლებოდა.

ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაში გაწაფული ძველი მტრები წყენას ივიწყებენ და ერთმანეთს ეხუტებიან. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ამერიკელი პოლიტიკოსების, დიპლომატების, ბიზნესმენების, ტურისტების ხშირი ვიზიტები ვიეტნამში. ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვამ 20 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ამერიკულმა ინვესტიციამ - 22 მილიარდს. ეს ოცჯერ მეტია, ვიდრე რუსეთთან, ვიეტნამის ომისდროინდელ პარტნიორთან.

ამერიკული დროშით მცურავი გემები ხშირად სტუმრობენ ვიეტნამის საზღვაო პორტებს საიგონსა და დანანგს. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა პანეტამ მიონახულა კამრანის ყოფილი საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზა და განაცხადა, რომ ამერიკული ფლოტის იქ განლაგება ორი ქვეყნის ინტერესს მოემსახურება.

ნათქვამია, ისე არაფერი აახლოებს, როგორც შიში. ამ შემთხვევაში იგულისხმება ჩინეთი - ვიეტნამის ომის დროს ამ ქვეყანის სტრატეგიული პარტნიორი. შიში გამოწვეულია აზია-წყნარი ოკეანის ზონაში ჩინეთის ინტერესების გამოვლინებით, რომელმაც თავისთავად დააახლოვა აშშ-ვიეტნამი. თუმცა ვიეტნამს არ დავიწყებია ამერიკელთა მიერ ქიმიური იარაღით მოწამლული მიწა და დასახიჩრებული ადამიანები.

გასული საუკუნის 60, 70-იან წლებში 72 მილიონი ლიტრი დეფოლიანტი Agent Orange, მათ შორის 44 მილიონი ლიტრი საწამლავი დიოქსინი დააფრქვიეს ვიეტნამს. ნიადაგში ჩარჩენილი შხამი დღესაც სპობს ყოველივე ცოცხალს. არავინ იცის, როდის დაიშლება შხამი. ექსპერტთა აზრით, ამ პროცესს 500 წელი დასჭირდება. ვიეტნამში დიოქსინის მსხვერპლი 5 მილიონი ადამიანია. ვაშინგტონი მზად არის, დაეხმაროს ვიეტნამს, მაგრამ უარს აცხადებს კომპენსაციაზე. ა.წ. აგვისტოს ამერიკელებმა დანანგის აეროპორტთან არსებული მოწამლული ტერიტორიების გაწმენდა დაიწყეს.

სწორედ დანანგიდან დაიწყო 1965 წელს ამერიკის აგრესია ვიეტნამში. სწორედ ამ პორტში ჩაჰქონდათ ამერიკელ ჯარისკაცებს ქიმიური ნივთიერება, რომელსაც ვიეტკონგის პარტიზანების მიერ დაკავებულ ტერიტორიებს ჰაერიდან აფრქვევდნენ.

გაწმენდის ტექნოლოგია მარტივია – ბულდოზერებით იჭრება 3 მეტრი სისქის ნიადაგი და 1000 გრადუს ტემპერატურაზე გამოიწვება სპეციალურ ღუმელში, რის შემდეგაც დიოქსინი კვდება, ხოლო მიწა შემდგომში გამოიყენება. ამ მეთოდით აპირებენ 73 ათასი კუბური მეტრი მიწის დამუშავებას, რაც ზღვაში წვეთია. ამ საქმისთვის ამერიკის ბიუჯეტიდან 41 მილიონი დოლარია გამოყოფილი.

„უსისხლო ომი“, ასე შეარქვეს ამერიკელებმა ქიმიური იარაღის გამოყენებას ვიეტნამში. მას გაცილებით დიდი ეფექტი ჰქონდა, ვიდრე „სისხლიანს“. მან მოიცვა ვიეტნამის სავარგულების 43% და ტყის მასივების 44%.

ნათქვამია, დრო ყველაზე დიდი მკურნალიაო. ომის შემდეგ საკმაო დრო გავიდა. მოვიდა პოლიტიკოსთა ახალი თაობა, რომელმაც სხვაგვარად შეხედა გუშინდელ წყენას და განაწყენებულის პოზაში დგომას თანამშრომლობა არჩია. გარდა ამისა, ორივე ქვეყანამ სერიოზული გამოწვევა იგრძნო ჩინეთიდან.

ჩინეთი, ეკონომიკური პოტენციალის თვალსაზრისით, მეორეა მსოფლიოში. აშშ ეჭვის თვალით უყურებს ჩინეთის მოძლიერებას, განსაკუთრებით სამხედრო თვალსაზრისით, არადა, ამერიკას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ჩინეთის ეკონომიკის აღორძინებაში. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა ერთობ წარმატებულია. ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება საგრძნობლად აისახება რიგითი ამერიკელის ცხოვრებაზე. მაგრამ ეკონომიკა სხვაა, პოლიტიკა, და ამ პოლიტიკიდან გამომდინარე, მსოფლიო ლიდერობის ამბიციები – სხვა.

როგორც ჩანს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირება სერიოზულ სახეს შეიძენს, მაგრამ ეკონომიკური გაუმართაობით გადაღლილი ამერიკა არ აპირებს მსოფლიო ჰეგემონის პოზიციების დათმობას. მას არც რუსეთ-ჩინეთის მრავალპოლუსიანი მსოფლიოს იდეა ხიბლავს და არც – თანამედროვეობისთვის შესაფერისი პლურალიზმი. ის არ აპირებს მსოფლიო პირველობის ხელიდან გაშვებას და ამისთვის მზად არის, მილიონობით დოლარი ხარჯოს აზია-ოკეანიაში ახალი სამხედრო ბაზების შესაქმნელად, ანტირუსულ-ანტიჩინური ღონისძიებების განსახორციელებლად.

ისე როგორც ვიეტნამის ომის დროს, ავღანეთის ომის დროსაც ამერიკა მსოფლიოს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის ხმამაღალი ლოზუნგებით აყრუებს. თუ რა დემოკრატიას ემსახურებოდა ამერიკის ინტერვენცია ვიეტნამში, ზემოთ მოყვანილი მაგალითიდანაც ჩანს. მაშინ ამერიკა მარტო იყო, დღეს მასთან ერთად მოკავშირეები არიან, მათ შორის საქართველოც.

ავღანეთში ამერიკისა და კოალიციური სამხედრო ძალების ათწლიანი ყოფნა, რაც თავისთავად უკავშირდება ვიეტნამის მსგავს ნგრევას და ხოცვა-ჟლეტას, კარგა ხანია დანარჩენი მსოფლიოს მიერ ოკუპაციად არის შეფასებული. თვით ავღანეთი მოითხოვს ოკუპანტების მიერ ამ ქვეყნის დატოვებას. მაგრამ ამერიკის სტრატეგიულ პარტნიორ საქართველოს ავღანეთში ომი ავღანელი ხალხის დახმარებად მიიჩნია.

ავღანეთში გამგზავრების წინ საქართველოს ახალმა თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ გარდა ქართული სამხედრო კონტინგენტის მონახულებისა, დაგეგმილია ავღანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა.

„საქართველო მზად არის, დახმარება გაუწიოს ავღანეთის ხელისუფლებას, ვინაიდან მასაც, ისე როგორც ავღანეთს, გამოცდილი აქვს საბჭოთა ოკუპაცია“. დაახლოებით ასეთი იყო მინისტრის განცხადება. მაინც რა აუცილებლობას წარმოადგენდა საჭოთა ოკუპაციის გახსენება ამერიკელთა მიერ გაჩაღებული ათწლიანი ომის დროს?

ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ ის, რომ მსგავსი განცხადებები არ წაადგება ქართულ-რუსული ურთიერთობების დათბობას, ნათელია. რუსეთთან ურთიერთობის მსურველ ქვეყანას სხვა რიტორიკა ესაჭიროება, ნაკლებად გამომწვევი და გამაღიზიანებელი.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ დღის თემა

ოქრუაშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ

ზერზერობით უცნობია, გახდება თუ არა ირაკლი ოქრუაშვილი ამ ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარი ბრალმდებელი, თუმცა საზოგადოებაში მსგავსი მოლოდინი არსებობს. ყველასთვის ცხადია, რომ ოქრუაშვილი ის ადამიანია, ვინც უამრავ ინფორმაციას ფლობს ყოფილი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. 2007 წელს თავისი განცხადებებით მან ეჭვქვეშ დააყენა ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიასა და ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების საქმეები. ირაკლი ოქრუაშვილმა მაშინ საჯაროდ განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანია იქ არ გარდაცვლილა, სადაც იპოვეს. ხოლო პრეზიდენტი სააკაშვილი ბადრი პატარკაციშვილის გაქრობაზე ელაპარაკებოდა. მაშინ ოქრუაშვილი იმასაც ამბობდა, რომ ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ დოკუმენტაციაც ჰქონდა.

როგორც ექსპერტი ზურაბ ბიგვავა მიიჩნევს: „დიდი ალბათობაა, რომ ოქრუაშვილი ბრალდების მთავარი მოწმე გახდეს. გვახსოვს მისი ინტერვიუებიც, მისი გამოსვლები და ბრალდებები. თუ დაკითხვის დროსაც განმეორდება იგივე ბრალდებები, ვფიქრობ, ეს გახდება საბაბი იმისა, რომ ძალიან ბევრი ჩინოვნიკის წინააღმდეგ დაიწყება საქმე — ეს ბუნებრივი და ლოგიკურია“.

„ნაციონალური მოძრაობა“ ეჭვობს, რომ ახალმა ხელისუფლებამ ის სპეციალურად ჩამოიყვანა, როგორც ერთ-ერთი მთავარი მოწმე, თუმცა პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში დაბრუნების შესახებ 20 ნოემბრის საღამოს მაია ფანჯიკიძისგან შეიტყო.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით კი თავდაცვის ყოფილი მინისტრის საქართველოში ჩამოსვლა არც მოულოდნელი იყო და არც მოსალოდნელი.

როგორც ღარიბაშვილი ამბობს, თუ ირაკლი ოქრუაშვილი მოწმის სახით დაიკითხება და გამოძიებას ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის, ამ ფაქტს მხოლოდ მიესალმებიან.

ექსპერტი კახა კახიშვილი თვლის, რომ ოქრუაშვილი აქ სწორედ ამისთვის ჩამოვიდა: „გავიხსენოთ, რომ ოქრუაშვილი სააკაშვილის გამორჩეული მეგობარი იყო, რომლითაც ის ამაყობდა. ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ ნაცმოძრაობასა და სააკაშვილს მას შემდეგ გაუჩნდათ პრეტენზიები, რაც ოქრუაშვილმა ამხილა პრეზიდენტი და მისი ოჯახი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში. ძიება დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ მზადაა ღიად ისაუბროს, რაც ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველ ელიტაში.

ამავდროულად, ის შეეხო ჟვანიას საქმეს. მაშინ როდესაც ოქრუაშვილი ამ განცხადებებს აკეთებდა, არ იყო ნიშნები ოპოზიციის სიძლიერისა და მისი ხელისუფლებაში მოსვლისა. ამდენად ვერ ვივარაუდებთ, რომ ოქრუაშვილი მხოლოდ ნიშნისმოგებით აკეთებდა ამ განცხადებებს. მან დღეს ჩათვალა, რომ ახლა დადგა ის დრო, როდესაც მიეცემა საშუალება, ისარგებლოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიებით და თავისუფალი სასამართლოთი. თუ აქვს რაიმე სათქმელი, ალბათ იტყვის“, — მიიჩნევს კახიშვილი.

ოქრუაშვილის ადვოკატების პირველი განცხადებები იმის თაობაზე გაკეთდა, რომ **ოქრუაშვილი გამოძიებასთან სათანამშრომლოდ ჩამოვიდა,** თუმცა ორიოდე დღეში ოქრუაშვილის ადვოკატმა დავით კორკოტაშვილმა განაცხადა, რომ **ოქრუაშვილი მხოლოდ, იმ შემთხვევაში ითანამშრომლებს გამოძიებასთან, თუ დაინახავს, რომ ქვეყანაში რეალურად ხორციელდება სისხლის სამართლებრივი დევნა მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ.**

თუმცა სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ როგორც კი დაიწყება ამ თემაზე ჩვენებების მიცემა, **„მერე უკვე დასწრებაზე იქნებიან მოწმენი და ამბის მცოდნენი, ვინ უფრო მეტს მოუყვება პროკურატურას. ამიტომ რამენაირი ინფორმაციის შენახვას არანაირი ღირებულება არ დარჩება. თანაც ზედმეტი მოტივაცია არ სჭირდება ოქრუაშვილს იმისათვის, რომ საკუთარი ნებით, სურვილით და კმაყოფილებითაც თქვას ყველაფერი, რაც იცის. არანაირი წინაპირობები და დაპირებები ხელისუფლების მხრიდან არ იქნება აუცილებელი იმისათვის, რომ საკუთარი დამოკიდებულებაც გამოხატოს იმ პოლიტიკოსების მიმართ, რომელთა მოწადინებითაც იგი წლების განმავლობაში გაძევებული იყო ქვეყნიდან“,** — ამბობს სოსო ცისკარიშვილი.

რომელი მაღალი თანამდებობის პირები ჰყავდა მხედველობაში ოქრუაშვილს, ადვოკატმა არ დააკონკრეტა, თუმცა, სავარაუდოდ აქ ქვეყნის ის მმართველი, სულ რამდენიმე კაციანი გუნდი უნდა მოიაზრებოდეს, რომლის ნაწილიც თავის დროზე ოქრუაშვილიც იყო.

საზოგადოების ერთი ნაწილი ოქრუაშვილს მაინც სააკაშვილის მოკავშირედ მოიაზრებდა, რადგან უჭირდა ახსნა, **რატომ გამოიყვანეს ოქრუაშვილი ციხიდან და რატომ გააძევეს ქვეყნიდან. არსებობს ვერსიაც, რომ სააკაშვილმა იცოდა, ის მტკიცებულებები, რაც ოქრუაშვილს გააჩნდა, გაცილებით ნაკლებად საშიში იყო მისთვის, ვიდრე ოქრუაშვილის საქართველოში ყოფნა,** თუმცა ამის პასუხს საკუთარ ბრალდებებზე ოქრუაშვილიც ვარაუდად მხოლოდ ოქრუაშვილის ან სააკაშვილისგან თუ მივიღებთ.

როგორც ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი ამბობს, **სააკაშვილმა ზუსტად იცოდა, რა ინფორმაციას ფლობდა ოქრუაშვილი, რა მოხდა სინამდვილეში და, ალბათ, არსებობს გარკვეული მიზეზები, აქამდე რატომ არ საუბრობდა ოქრუაშვილი.**

„მის მიმართ კითხვებს რა დალევს — **კარგი იქნებოდა ასევე, თუ განმარტავდა, სწორედ იმ ღამეს, როდესაც დაიღუპა ზურაბ ჟვანია, დილის 6 საათზე ფოთში რატომ გამოაცხადა განგაში. ეს ინფორმაცია არსებობდა პრესაში. საინტერესოა, იმ ტრაგიკულ დღეს რატომ გახდა საჭირო, მოულოდნელად გამგზავრება ფოთში“,** — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

მისივე განმარტებით, გამოძიებას საკმაოდ რთული გზა ელის წინ და რაც არ უნდა ლანგარზე მიართვან ინფორმაცია მოწმეებმა, ყველა ჩვენებას დასჭირდება მტკიცებულება, რაც არც თუ მარტივი მოსაძიებელია.

„ამ შემთხვევაში მტკიცებულებები ადვილად მოსაძიებელი არ გახლავთ. **ზურაბ ჟვანიას დაღუპვის აღწერილობისას აშშ-ის ფედერალური გამოძიების ბიურომ თავი შეიკავა კონკრეტული დასკვნისგან და არც ის გაუპროტესტებია, რატომ ითარგმნა მისი დასკვნა ქართულ ენაზე საწინააღმდეგო მნიშვნელობით.** ბატონი პატარკაციშვილის შემთხვევაში ვენდობით „სკოტლანდ იარდის“ დასკვნას, რომელიც დეტალურად არ გამოქვეყნებულა და გამოძიება იქაც საკმარისზე მეტხანს გაგრძელდა. დამაჯერებელი არც ის დასკვნა იყო — აქ გადამწყვეტი იქნება ბატონი ბადრის ოჯახის გადაწყვეტილება, გააგრძელოს ამ საქმის გამოძიება თუ დაფაროს ის ინფორმაცია, რომელსაც აქამდე ეყრდნობოდნენ“, —აცხადებს ცისკარიშვილი.

თუკი ოქრუაშვილი ითანამშრომლებს გამოძიებასთან, მოსალოდნელია თუ არა ნაციონალური ხელისუფლების უმაღლესი პირებისა და პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგაც დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა? ექსპერტები თვლიან, რომ ეს შესაძლებელია, რადგან თუ დანაშაული და ამ დანაშაულის დამამტკიცებელი გარემოებები არსებობს, კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

კახა კახიშვილი კი მიიჩნევს, რომ თუ გამოძიება საკმარის მტკიცებულებებს მოძებნის იმ განცხადებებზე, რასაც ოქრუაშვილი გააკეთებს, მაღალჩინოსანთა საქმეების გამოძიება შესაძლებელია. რაც შეეხება პრეზიდენტს, ამ შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა.

„არა მხოლოდ ოქრუაშვილი, არამედ ბევრი სხვა ადამიანი საუბრობდა სააკაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, რაც მედიაშიც შუქდებოდა. ამის მიუხედავად ძალზე გართულებულია პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა, მით უმეტეს ძალზე რთულია, პრეზიდენტის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება. ყოფილმა მმართველმა გუნდმა იმდენი მოახერხა, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში თითქმის შეუძლებელი გამხდარიყო პრეზიდენტის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება“, — აცხადებს კახიშვილი.

როგორც ზურაბ ბიგვავა ამბობს, დიდი ხანია, არსებობდა მოარული ხმები იმის შესახებ, რომ უმაღლესი თანამდებობის პირებს უამრავი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი.

„ჩვენც ვხედავდით შუაღამისას კამერების თანხლებით დაპატიმრებებს, ყოველ დილას ვისმენდით, რომ ამა თუ იმ მესაკუთრემ საკუთარი სურვილით სახელმწიფოს ქონება აჩუქა. ვიცოდით, რომ ეს ყველაფერი შანტაჟით კეთდებოდა, მაგრამ ამას ვერავინ ვერ ადასტურებდა და ამიტომ ჩუმად ვიყავით. ახლა ეს პოსტფაქტუმ გამოსაძიებელია, ეს ყველაფერი უნდა დადასტურდეს, ფაქტები დაიდოს. **თუ ეს ფაქტები ისევ მანიპულაციების შედეგად დაიდო, ეს სერიოზული უარყოფითი მომენტი იქნება ახალი ხელისუფლებისთვის და შესაძლოა, ამას საზოგადოების დამოკიდებულების სერიოზული ცვლილებებიც მოჰყვეს.**

რაც არ უნდა ვიცოდეთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა ეს ყველაფერი იცოდა, ხელს აფარებდა, მერე ამ ყველაფერს ვიდეოზე უყურებდა და დადებითი ემოციებით იტვირთებოდა — ამ ყველაფერზე მტკიცებულებები უნდა დაიდოს. ვისაც მსგავსი რამ დაუდასტურდება, მიხეილ სააკაშვილი იქნება თუ სასულიერო პირი, ყველამ პასუხი უნდა აგოს. ეს არა მარტო ლოგიკის არამედ სამართლიანობის რეალიზაციაა და თუ სამართლიანობის განცდა არ დაბრუნდა საზოგადოებაში, ამ საზოგადოებას მომავალი არ აქვს“, — მიიჩნევს ზურაბ ბიგვავა.

დასავლეთისთვის კვლავ გაუგებარია, ასეთ დემოკრატიულ, წარმატებულ და აყვავებულ ქვეყანაში, სადაც სააკაშვილმა კორუფცია დაამარცხა, როგორ შეიძლება არსებობდნენ დამნაშავე მაღალჩინოსნები. მათთვის ბევრად უფრო რთული აღსაქმელია, რომ რაც მათ ამდენი წლის განმავლობაში სჯეროდათ, არ იყო სიმართლე.

როგორც კახა კახიშვილი ამბობს, ცოტა რთულად ესმის პოზიცია, რომ გვეყოფა და მეტი აღარ უნდა დავიჭიროთ.

„ვერანაირი უცხოური აღშფოთება და შეშფოთება ვერ შეგვიშლის ხელს იმაში, რომ ეს პროცესი ბოლომდე იქნას მიყვანილი“, — მიიჩნევს ექსპერტი ბიგვავა.

ლალი ზირაძიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

კუდ-ის ბაზაზე ორი ახალი სამსახური ჩამოყალიბდა

საძართველოს მთავრობამ დღევანდელ სხდომაზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისა (კუდ-ი) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ი) გაუქმების საკითხზე იმსჯელა. შესაბამისი ცვლილება პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულებაში შედის. „ეს არის ცვლილება, რომელიც საზოგადოებას დავპირდით. კუდ-ის ბაზაზე უკვე შეიქმნა ორი ახალი სამსახური — სახელმწიფო უსაფრთხოების და ანტიკორუფციული სააგენტოები. სოდ-ის დეპარტამენტი კი კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს შეუერთდა და შეიქმნა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი. ასევე, შეიქმნა რეფორმებისა და განვითარების ახალი სააგენტო და მინისტრის აპარატი. ცვლილებები, რომელიც დღეს განვიხილეთ, სწორედ აღნიშნულს გულისხმობს“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომლის თქმითაც, შს სამინისტროში სრულიად ახალი სტრუქტურა ჩამოყალიბდა.

დაკავებულია კუდ-ის მაღალჩინოსანი

კახეთის საოლქო პროკურატურამ შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე დავით ლორთქიფანიძე დააკავა — ამის შესახებ ინფორმაციას კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს. ცენტრის ინფორმაციით, დავით ლორთქიფანიძე სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ითვალისწინებს.

— დაუზუსტებელი ცნობით, კუდ-ის კახეთის სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობის დროს, დავით ლორთქიფანიძემ ერთ-ერთ ბიზნესმენს რამდენიმე ძვირადღირებული მანქანა აყიდინა და შემდეგ კერძო პირისთვის აჩუქებინა. ამასთან, ბიზნესმენმა, ლორთქიფანიძის დავალებით, დიდი რაოდენობით თანხა გადაურიცხა ერთ-ერთ მედიასაშუალებას, — იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი. მთავარ პროკურატურაში და შს სამინისტროში აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს ჯერ არ აკეთებენ. შსს-ს პრესსამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რომ დავით ლორთქიფანიძესთან დაკავშირებით შსს განცხადებას მოგვიანებით გაავრცელებს. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, დავით ლორთქიფანიძე შს მინისტრის ყოფილი მოადგილის გია ლორთქიფანიძის ძმაა. გია და დავით ლორთქიფანიძეების სახელს უკავშირდება ახმეტაში, ნანა ლეჟავას გადაცემა „კვირის რეპორტაჟის“ ჟურნალისტების ცემის ფაქტიც.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კითხვები, რომლებიც პასუხს ელის

მოწყენილი კარგი ქვეყანა

„აწმყო თუ არა გვწყალობს“... რას გვიქადის ჩვენი მომავალი? შევძლებთ კი დიდების წლების აღდგენას?

როდემდე დავრჩებით განვითარებად ქვეყანად, სადღაც აფრიკლებისა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებს შორის ჩაკარგულნი?

და თუ ასეთი ჩაკარგულნი ვართ, როგორ აღმოცენდა ამ გაუბედურებულ მიწაზე 10 მილიარდელი?

არ გჯერათ? თვით პრეზიდენტმა სააკაშვილმა ასე განაცხადა ამ რამდენიმე წლის წინათ გერმანელ კორესპონდენტ გედეონ რიხტერისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ორი მილიარდელი ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ვინ არის დანარჩენი რვა? მათ შორის თავის თავსაც ხომ არ გულისხმობდა პრაზიდენტი? იქნებ დღეს მაინც ჩამოგვითვალოს ის მილიარდელები, რომლებიც ამ ეკონომიკურად გაპარტახებულ მიწაზე აღმოცენდნენ.

მილიონერების ჩამოთვლა კი ძალზე შორს წაგვიყვანდა და მილიონობით ადამიანის სიღატაკეც ადვილად გასაგები გახდებოდა.

სამაგიეროდ, ევროპელობა გვინდა და აფრიკელებივით ვიქცევით. ევროკავშირისკენ მივილტვით და უნივერსიტეტებს ვინღა ჩივის, საშუალო სკოლაც კი გავანადგურეთ, მეცნიერება კი სულს ღაფავს უსახსრობის გამო.

მახსოვს, სამოციანი წლების მიწურულს ფრანგი ახალგაზრდობის დიდი გამოსვლა იყო დე გოლის მთავრობის წინააღმდეგ. მაშინ დე გოლმა ფრანგებს მიმართა: **„მე მესმის თქვენი, რომ გსურთ ამერიკელებივით იცხოვროთ, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ თუ ამერიკელებივით ცხოვრება გინდათ, ამერიკელებივით უნდა იმუშაოთ. არ შეიძლება ფრანგულად იმუშაოთ და ამერიკულად იცხოვროთ“.**

ჩვენ რა გვინდა? ვიყოთ ქართველები და ამერიკულად ვიცხოვროთ?

რადგან ევროპელები ვართ, ინგლისელებივით მუშაობა შეგვიძლია თუ სკანდინავიელებივით შრომა, მათ მსგავსად რომ ვიცხოვროთ?

კარგია ევროკავშირისკენ სწრაფვა, მაგრამ მათ რაში ვჭირდებით? ჩამორჩენილი, განვითარებადი ქვეყნის მძიმე ტვირთად „აკიდება“ მათ რაში აწყობთ, როცა საბერძნეთი, პორტუგალია და ესპანეთიც კი მათი „საბიუჯეტო ორმოდან“ ამოსათრევია? მათ დიდად არც ალბანეთი და რუმინეთ-ბულგარეთი აინტერესებთ და არც ბალტიისპირეთის ქვეყნების კეთილდღეობა და ჩვენ რატომ გვაქვს მათი იმედი? ვერ ვხედავთ, თუ რა „სიმშვიდეა“ დღეს ევროპაში, სადაც 27 ქვეყნიდან 23-ში დიდი საპროტესტო გამოსვლებია ცხოვრების დონის გაუარესების გამო?

რას ველით „ნატოსგან?“ ვითომ „ნატოში“ შესვლით ის ისეთ ფრთებს გადმოგვაფარებს, რომ ვერც ერთი ჩვენი მეზობელი კენჭის გადმოგდებასაც კი ვერ გაბედავს?

მაინც, რანი ვართ ეს ქართველები, რომ მთელი მსოფლიო თავს ასე გვევლებოდეს?

წარსულში კულტურული, განათლებული ერი, რომელიც თანდათან კულტურასაც კარგავს და განათლებულობასაც!

მაგრამ, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა? როგორ დავეცით ისე, რომ ისეთი განუვითარებელი ქვეყანა გავხდით, რომ ამერიკელებმა ჩვენთან ზუსტად ისეთი განათლების რეფორმა ჩაატარეს, როგორც კამბოჯაში?

მინდა ვიკითხო: რატომ შეიცვალა ჩვენს სკოლებზე აბრა „საშუალო სკოლა“ „საჯარო სკოლით“? ჩვენი სკოლადამთავრებული სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ რომ მიდის, ქართული ატესტატის ინგლისურად გადათარგმა უწევს და ამ შემთხვევაში „საჯარო სკოლა“ ხომ „პაბლიკ სკულად“ უნდა ჩაიწეროს?

„პაბლიკ სკულ“ კი ამერიკული სკოლებია, რომლებიც გონებასუსტი ბავშვებისთვისაა გახსნილი შესაბამისი გამარტივებული სასკოლო პროგრამებით და სახელმძღვანელოებით. იქ სწავლა უფასოა და სკოლების მიზანი წერა-კითხვის სწავლებაა. ამ სკოლის ატესტატებით უმაღლეს სკოლაში შესვლა შეუძლებელია.

ჩვენი ბავშვებიც სწორედ გონებასუსტებად მიიჩნიეს და ამიტომაც გაუქმდა საშუალო სკოლა და შეიქმნა საჯარო სკოლები უბადრუკი სასწავლო პროგრამებით და შესაბამისი სახელმძღვანელოებით.

ცხადია, ამერიკაში და ევროპაში საშუალო და მაღალი სკოლებიცაა, რომელთა კურსდამთავრებულების ნაწილი უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებს სწავლას. ჩვენმა სკოლადამთავრებულებმა კი ჯერ სხვადასხვა ტიპის, თუნდაც უნივერსიტეტებთან არსებული კოლეჯების კურსი უნდა გაიარონ, რომ უმაღლესი სკოლის საფეხურებს მიაღწიონ.

განა ძნელი მისახვედრია, რომ განათლების დონის დაცემა, კულტურის განადგურება და სპორტის დაძაბუნება მოსახლეობის დუხჭირ მდგომარეობასთან ერთად კრიმინოგენური სამყაროს გაძლიერებას იწვევს? ეს გვაიძულებს, დანახარჯები გავზარდოთ პოლიციის გასაძლიერებლად. შედეგად სუსტდება ქვეყნის ეკონომიკა და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის ძალა აღარ შეგვწევს. თუ მაინც გვსურს ცივილიზებულ და განათლებულ ქვეყნად ვიწოდებოდეთ, ეროვნული ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი განათლების, მეცნიერების, მედიცინის, კულტურისა და სპორტის განვითარებას უნდა მოხმარდეს.

რა გზით მოვახერხეთ განათლებისა და მეცნიერების განადგურება?

ამისი მთავარი მიზეზი განათლებისა და მეცნიერების კანონებია, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებისთვისაა შექმნილი.

განათლების სისტემის რღვევა სწორედ 1992 წლიდან დაიწყო, როდესაც ქვეყანაში ფასიანი სწავლების ეს ფორმა დაინერგა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უნივერსიტეტების არსებობა მთლიანად სტუდენტთა გადასახადებზე და მათ რაოდენობაზეა დამოკიდებული. როდესაც პროფესორმა იცის, რომ მის მიერ სტუდენტის გამოცდაზე დაწერილი ყოველი არადამაკმაყოფილებელი შეფასება მის უნივერსიტეტში არსებობაზეა დამოკიდებული, ის ამ შეფასებას არ დაუშვებს. შედეგად იწერება დაუმსახურებელი დადებითი შეფასებები და მაღალი დონის სპეციალისტების მომზადება, განსაკუთრებით საინჟინრო და ტექნიკურ დარგებში, წარმოუდგენელია.

ყოფილმა განათლების მინისტრმა შაშკინმა განაცხადა, რომ **„ჩვენ ვაფინანსებთ არა უნივერსიტეტს, არამედ სტუდენტს!“** ეს დანაშაულის ტოლი ქმედებაა, რადგან მთლიანად ანადგურებს სწავლის დონეს. დღეს მშობელი ფულს მხოლოდ შვილის უსწავლელობისთვის იხდის, ხოლო პროფესორი იძულებულია, გამოცდებზე დაუმსახურებელი დადებითი შეფასებები წეროს, უნივერსიტეტმა სტუდენტი, ანუ გადამხდელი პირი შეინარჩუნოს. სტუდენტთა დიდი უმრავლესობის მიზანი კი მხოლოდ იმ დიპლომის მიღებაა, რომელსაც არც საზღვარგარეთ აქვს ფასი და არც ჩვენთან.

თუ დღეს არსებული განათლებისა და მეცნიერების კანონმდებლობა ძირფესვიანად არ შეიცვალა, ძნელია, იმედი გვქონდეს, რომ განათლების მდგომარეობა უკეთესობისკენ შებრუნდება.

დღეს ჯერ კიდევ შემოგვრჩა ის ინტელექტუალური პოტენციალი, რაც განათლებისა და მეცნიერების აღორძინებისთვისაა აუცილებელი. ხვალ ეს პოტენციალიც გაქრება და გვიანი იქნება ფიქრი საქართველოს აღორძინებაზე.

განათლება და მეცნიერების განვითარება ქვეყნის პრიორიტეტებში პირველ ადგილზე უნდა იყოს, თუ გვსურს ამ ღრმა ჭაობიდან ამოსვლა და „განვითარებადი ქვეყნის“ სამარცხვინო წოდების ჩამოცილება.

თუ განათლებული მთავრობის და პარლამენტის ღირსი გავხდით, დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო, რომ საქმეს როგორმე ეშველოს. ბოლო ორი ათწლეულის შეცდომებმა უკვე დიდი დაღი დაასვა მეცნიერებასაც და განათლებასაც საქართველოში. ჩვენი ქვეყანა ნიჭიერი ახალგაზრებისგან პრაქტიკულად დაიცალა. ისინი რომც დაგვიბრუნდნენ, აქ მათ საქმე მაინც არ ექნებათ, რადგან სამეცნიერო ცენტრები იშლება და კვდება. ანდა, რატომ უნდ დაბრუნდნენ მაღალგანვითარებული ქვეყნების წარმატებული სამეცნიერო ცენტრებიდან იმ სიბნელეში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა მოხვდა?

ასე თუ გაგრძელდა, ქართული ნიჭიც თანდათან ჩაქრება, როგორც თურქეთში თუ ირანში მცხოვრებ ქართველთა ნიჭი ჩაქრა!

ასეთია აწმყო, მაგრამ დღეს იმედები ჩაისახა, რომ მომავალი უკეთესი იქნება თუ წარსულის შეცდომები არ გავიმეორეთ.

დღეს ჩვენ ქვეყანას მეცნიერული მიღწევები საერთოდ არ სჭირდება, რადგან მეცნიერული პროდუქციის მყიდველი აღარა გვყავს. იმ „წყალ-წყალა ეკონომიკას“ (ლუდი, წყალ-წყალა ღვინო, ბორჯომის წყალი და კოკა-კოლა) მეცნიერება სულაც არ სჭირდება, ენერგეტიკა ისედაც უცხოელებს გადავაბარეთ, მაღალი ტექნოლოგიის ქარხნები კი საერთოდ გავანადგურეთ და ჯართად გავყიდეთ.

გამოდის, რომ ჩვენი ძველი ხელისუფლება მართალი ყოფილა და საქართველოს მეცნიერება არ სჭირდება? მას არც განათლება სჭირდებოდა, რადგან გაუნათლებელი ხალხის „მწყემსვა“ გაცილებით ადვილია. მართლაც, დისიდენტები ხომ მხოლოდ განათლებული ხალხის ფენიდან მოდიან?

რას მოგვიტანს ხალხის გაუნათლებლობა?

ქვეყანაში აუცილებლად გაიზრდება ბანდიტებისა და კორუმპირებულთა რაოდენობა. საზრდოს მოპოვების ერთადერთი გზა კრიმინალი და უცხოელთა მოჯამაგირეობა დარჩება, სულიერება და მასთან დაკავშირებული კულტურა მთლიანად მოისპობა, ხოლო ქართველთა ინტელექტუალური ფენა მთლიანად საზღვრებს იქით გადაიხვეწება.

რა უნდა გაკეთდეს სასწრაფოდ?

თუ გვსურს ინტელიგენციის გენოციდის თავიდან აცილება, მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების პრესტიჟი. ეს მხოლოდ ნორმალური ხელფასებით და სტიპენდიით შეიძლება. დღეს მსახიობი, მასწავლებელი თუ სტუდენტი სულაც არ თაკილობს უცხოელთა მოჯამაგირეობას, ინტელიგენცია სხვათა მსახური გახდა თავის ქვეყანაშიც და უცხოეთშიც.

თუ გვინდა ეკონომიკას ვუშველოთ, თვითონ უნდა აღვზარდოთ მაღალი დონის სპეციალისტები. ყველგან უნდა შეიქმნას ნორმალური სამუშაო პირობები და თუ ეს ვერ შევძელით, უახლოეს მომავალში ჩვენ არც ექიმი გვეყოლება, არც ინჟინერი და არც მასწავლებელი. ჩვენ მართლაც ღატაკი, გაუნათლებელი და სხვათა მოჯამაგირე ხალხის ხვედრი გველის. მაშინ კი სრულად გავამართლებთ „განვითარებადი ქვეყნის“ სტატუსს, რომელიც გაუბედურებულ ეკონომიკასთან ერთად მოითხოვს, რომ ქვეყანაში არ უნდა იყოს განვითარებული მეცნიერება, კულტურა და ნორმალური განათლება.

გადარჩენისათვის ჩვენს თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ, სანამ ჯერ კიდევ ინტელექტუალური პოტენციალი შემოგვრჩენია. მაგრამ, ამისათვის პირველ რიგში განათლება, მეცნიერება და კულტურა უნდა გადავარჩინოთ. ქვეყნის ეკონომიკასაც მხოლოდ განათლებულობა ააღორძინებს. დღეს კი, ჩვენი ქვეყანა ის ყანაა, რომელზეც გადამთიელი თავისი რეკომენდაციებით რასაც უნდა იმას თესავს (თუნდაც ინვესტიციებით) და რასაც ვიმკით, ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას კარგად ეტყობა.

ერთადერთი იმედია, ბრძენ ილიას ვენდოთ და ვირწმუნოთ, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილის ახალ ხელისუფლებას სურს და შეუძლია, რომ აღადგინოს საქართველოს დიდების დღენი.

მერაბ ჯიბლაძე,
პროფესორი

◎ ალიან-ჩალიანი

პარლამენტს ჟანგბადი „გადაუკეტეს“

ქუთაისში საქართველოს პარლამენტის თანამშრომლები კვლავ უჟანგბადობას უჩივიან. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის ერთ-ერთი თანამშრომელი შეუძლოდ გახდა, რის გამოც, საკანონმდებლო ორგანოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური გამოიძახეს. ქალს მედიკოსებმა პირველადი დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს. როგორც ექიმებმა განაცხადეს, პარლამენტის თანამშრომელს აღენიშნებოდა წნევა, თუმცა მისი გამომწვევი მიზეზები მათთვის უცნობი იყო. თავად იგი კი, თავის ტკივილს, თავბრუსხვევასა და გულის რევის შეგრძნებას უჩიოდა.

ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ პაციენტი საავადმყოფოში გადაიყვანა. პარლამენტის შენობაში უჟანგბადობის გამო არაერთი თანამშრომელი თავს ცუდად გრძნობს. ამასთან, პარლამენტში სპეციალისტების მიერ ჟანგბადის დონის შემოწმება იგეგმება.

მალე სოროსი გვეწვევა

ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ჯორჯ სოროსი მიმდინარე კვირაში თბილისში ვიზიტს გეგმავს.

როგორც ფონდის პრესსამსახურში განაცხადეს, სოროსი თბილისში არაოფიციალური ვიზიტით, საკუთარი გადაწყვეტილებით ჩამოდის და ფონდის ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრას გეგმავს.

სავარაუდოდ, ვიზიტის ფარგლებში ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მუშაობის შეჯამება მოხდება და სამომავლო სტრატეგიები განიხილება.

ჯორჯ სოროსის თბილისში ჩამოსვლის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. სავარაუდოდ ის თბილისს უახლეოს ორ დღეში ეწვევა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მართლმსაჯულება თუ შურისძიება?

იყო თუ არა ეს ბინძური წინასაარჩევნო სვლა? საქართველოს მთავარი პროკურორის პასუხი ამ შეკითხვაზე დადებითია. ის ამტკიცებს, რომ სექტემბრის ბოლოს, იმ დროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შოთა ხიზანიშვილმა, ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ წამყვანი ფიგურების დისკრედიტაციის მიზნით, მათ საიდუმლო მოსმენაზე ბრძანება გასცა. „ქართული ოცნების“ კომპიუტერებში შეღწევის შემდეგ, ჩინოვნიკებმა დააშანტაჟეს „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის დაცვის ერთ-ერთი წევრი ბესო სურმავა და YOUTUBE-ზე ჩანაწერები მისი სახელით ატვირთეს. შემდეგ, დამავჯერებლობისთვის, სურმავა დასავლეთ საქართველოში გაიტაცეს და 1 ოქტომბრის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გაათავისუფლეს.

15 ნოემბერს, ხელისუფლებამ ბ-ნ ხიზანიშვილს, რომელიც ახლა თბილისის მერის მოადგილეა, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ ათ ჩინოვნიკს ბრალი უკანონო მოსმენების და გატაცების გამო წაუყენეს. მომდევნო დღეს, პოლიციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ ერთი ჩინოვნიკი თენგიზ გუნავა დააპატიმრა. გუნავას ბრალი ედება ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო შენახვაში.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ენმ) თანახმად, ეს წმინდა წყლის პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. ბ-ნი ხიზანიშვილის დაპატიმრება „პირადად ჩემზე ზემოქმედების მიზნით“ მოხდა, განაცხადა 16 ნოემბერს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა. ორი დღის შემდეგ კი თბილისის მერი გიგი უგულავა ამტკიცებდა, რომ ხიზანიშვილის წინააღმდეგ ბრალდებები „შეთითხნილია“.

ამას უცხოეთში ცუდი გამოხმაურება მოჰყვა. როდესაც ხელისუფლებამ ნოემბრის დასაწყისში ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია, და ქვეყნის ორი მაღალჩინოსანი სამხედრო დააპატიმრა, ნატომ საქართველოში თავისი სამხედრო კომიტეტის ვიზიტი გადადო, რომლებიც 9 ნოემბრისთვის იგეგმებოდა. ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა უკიდურესი შეშფოთება გამოთქვა სამი დღის შემდეგ, თუმცა, ბ-ნ ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ ტონი შეარბილა.

რიგითი ქართველები, როგორც ჩანს, უფრო წინდახედულები არიან. ბოლოს და ბოლოს, ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც ბოლოდროინდელ არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მარცხი გამოიწვია, იყო ის განცდა, რომ მმართველი პარტია თავს კანონზე მაღლა აყენებდა. ქვეყნის უახლოესი მოკავშირეები, და მათ შორის შეერთებული შტატები, მუდმივად ჩიოდნენ სამართლის შერჩევითობაზე საქართველოში წინა მთავრობის პირობებში.

მოქმედი მთავრობის აზრით, დაპატიმრებები არის იმ ფართო ძალისხმევის ნაწილი, რაც მიზნად ისახავს საქართველოში სამართლიანობის განცდის აღდგენას. ეს მოიცავს ძველი სადავო საქმეების გახსნას, სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას და იმის უზრუნველყოფას, რომ პარლამენტი სერიოზულად უდგებოდეს ქვეყნის ობმუდსმენს.

ბოლოდროინდელი მოვლენები ხაზს უსვამს ამ მიმართულებას. 19 ნოემბერს ადამიანის უფლებების საპარლამენტო კომიტეტმა მოიწონა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც არის მოწოდება 184 „პოლიტიკური პატიმრისა“ და უცხოეთში მყოფი 22 „პოლიტიკური დევნილის“ გათავისუფლების შესახებ. 2008 წელს, ერთ-ერთი ასეთი დევნილი, ბ-ნი სააკაშვილის ყოფილი მოკავშირე ირაკლი ოქრუაშვილი, სასამართლომ მასშტაბური გამოძალვის ბრალდებით გაასამართლა. 20 ნოემბერს ის საკუთარი რეპუტაციის აღდგენის მიზნით საქართველოში დაბრუნდა და უმალ დააპატიმრეს.

და მაინც, მთავრობამ გაცილებით მეტი უნდა გააკეთოს იმის დასამტკიცებლად, რომ ის უბრალოდ ანგარიშსწორებას არ ეწევა. დასაწყისისთვის, მან უნდა დააბალანსოს სწრაფი შედეგის სურვილი პროცესის განმტკიცების აუცილებლობასთან. მაგალითად, ახლახან ორმა ცნობილმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დატოვა ცოტა ხნის წინათ პოლიტიკური პატიმრების საკითხზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი. მათ განაცხადეს, რომ კომისია ყველა ცალკეულ საქმეს სათანადოდ არ სწავლობდა.

გარდა ამისა, ხელისუფლებამ უნდა დააჩქაროს რეფორმები სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცების მიმართულებით და გაზარდოს სამართლიანი სასამართლო პროცესის შესაძლებლობა მათთვის, ვინც დაპატიმრებულია. ქართული სასამართლოები დიდი ხნის განმავლობაში დაშინებული იყვნენ: წინა მთავრობის დროს, პროცესები თითქმის ყოველთვის გამამტყუნებელი განაჩენებით სრულდებოდა. იმედისმომცემია ის, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა ორი სამხედროს დატოვებაზე წინასწარ პატიმრობაში ახალაიასთან ერთად, რითაც წარსულთან შედარებით დამოუკიდებლობის დიდი განცდის დემონსტრირება მოახდინა. მაგრამ ეს პირველი დღეებია.

ბოლო დროს დაპატიმრებულ პირთა დიდი ნაწილის მიმართ წაყენებული ბრალდებები საარჩევნო კამპანიას უკავშირდება, რის გამოც პროცესს ახალი მთავრობის წამყვანი ფიგურების მხრიდან პერსონალური წყენის ელფერი გასდევს. ეს უნდა აღმოიფხვრას.

The Economist

სააკაშვილი ივანიშვილისგან იღებს რევანშს დასავლეთის ფრონტზე

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, კვლავ მაღალ დონეზე წარმოაჩინოს თავი დასავლეთის წინაშე პარლამენტის არჩევნებში დამარცხების გამო, იყენებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების სათავეში ყოფნის წლებში შეძენილ კავშირურთიერთობებს დასავლეთთან. ევროკავშირის სპეციალური კომისარი საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების საკითხებში კეტრინ ეშტონი ცენტრალური აზიისაქენ მიმავალ გზაზე სპეციალურად ჩავიდა 26 ნოემბერს თბილისში, რათა შეხვედროდა პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს. მოლაპარაკების შედეგად ეშტონმა განაცხადა, რომ „საქართველოში არ უნდა იყოს შერჩევითი სამართალდასვა და ოპონენტებთან პოლიტიკური ანგარიშსწორებანი“. ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა დააყენა წინადადება, მოხდეს გამოძიებანი „გამჭვირვალედ და წინასწარ განუჭვრეტელად“ და მოუწოდა სააკაშვილსა და ივანიშვილს „კონსტრუქციულად ითანამშრომლონ ერთმანეთთან“.

— „ქართული ოცნების“ მთავრობის მუშაობის ერთი თვის შემდეგ დასავლეთი მას უჩვენებს „ყვითელ ბარათს“, ვინაიდან გახმაურებული არჩევნების შემდგომდროინდელი დაპატიმრებების სერიაში ცხადი იყო პოლიტიკური ანგარიშსწორების კომპონენტი, — განუცხადა ჩვენს გაზეთს სააკაშვილის თანამებრძოლმა, რომელმაც არ ისურვა გვარის დასახელება.

მისი სიტყვებით, ბიძინა ივანიშვილის ბრიუსელში უცხოეთში თავისი პირველი მოგზაურობის დროს ნოემბრის შუა რიცხვებში, ოპონენტების დევნასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვეს ნატოს გენერალურმა მდივანმა, ევროპარლამენტის ხელმძღვანელებმა, ახლა ამას აკეთებს კეტრინ ეშტონიც.

ამჟამად საქართველოში დაპატიმრებულია თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ბაჩანა ახალაია, თბილისის ვიცე-მერი შოთა ხიზანიშვილი, აგრეთვე რამდენიმე მაღალი რანგის ჩინოვნიკი შინაგან საქმეთა სამინისტროდან. გირაოთი გაათავისუფლეს გაერთიანებული შტაბის უფროსი გიორგი კალანდაძე და მეოთხე ბრიგადის მეთაური ზაზა შამათავა. მთავარმა პროკურატურამ დაადასტურა, რომ აქვს შეკითხვები ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილთან და თბილისის მერთან გიგი უგულავასთან, რომლებიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის წარმომადგენლები არიან. როგორც ელოდებიან, მათ მალე მიიწვევენ დაკითხვაზე სხვადასხვა რეზონანსულ საქმეებთან დაკავშირებით, რაც უკანასკნელ წლებში მოხდა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ „სააკაშვილის გუნდი, როგორც იგი ჰპირდებოდა საერთაშორისო გაერთიანებას, აწარმოებდა გამჭვირვალე და დემოკრატიულ არჩევნებს, მშვიდად და ღირსეულად გადასცა ხელისუფლება, და ახლა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები ლოგიკურად ადევნებენ თვალყურს ახალი ხელისუფლების მოქმედებებს“.

— „ქართული ოცნების“ ნეგატიური შეფასებები გამოვიდა პირველ პლანზე რევანშისტული, არასწორი მოქმედებების გამო პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, — თქვა ბარამიძემ. — ამან შეიძლება ხელი შეუშალოს დასავლეთთან ინტეგრაციულ პროცესებს. ევროკავშირი აფრთხილებს „ქართულ ოცნებას“, რომ უფლებანი არ უნდა გამოიყენონ შერჩევით, ესე იგი, იქ ამის ნიშნებს ხედავენ.

ადრე ბიძინა ივანიშვილმა შესთავაზა ანდერს ფოგ რასმუსენს, გამოაგზავნოს წარმომადგენლები საქართველოში, რათა თვალყური ადევნონ გამოძიებას ყოფილი ჩინოვნიკების წინააღმდეგ, მაგრამ მან უარი განაცხადა, თქვა, რომ არ განიცდის ნდობის დეფიციტს საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ, მხოლოდ „გზას ულოცავს“ მას. და მაინც ნოემბრის ბოლოსთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოში დაგეგმილი ვიზიტი გადატანილია რამდენიმე თვით და გაიმართება მხოლოდ 2013 წლის პირველ ნახევარში, ვინაიდან მიმღები მხარის ხელმძღვანელი — გაერთიანებული შტაბის უფროსი — ამჟამად გამოძიების ქვეშაა.

— რაც შეეხება ეშტონის ვიზიტს, ევროკავშირს აინტერესებს, თუ რა ხდება რეალურად საქართველოში: ეს არის დემოკრატიის განმტკიცება, თუ პოლიტიკური დევნა კანონის უზენაესობის გამოყენებით, — ეუბნება ჩვენს გაზეთს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის წევრი დავით დარჩიაშვილი. — თუ ევროპა ან ამერიკა დაინახავენ, რომ საქართველოში ვითარდება არადემოკრატიული პროცესები, ეს აისახება ორმხრივ ურთიერთობებზეც.

„ქართული ოცნებისთვის“ მდგომარეობა რთულდება იმით, უთხრა ჩვენს გაზეთს საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ, რომ ელჩების დანიშვნა — ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა. ჯაფარიძე ამბობს, რომ ბევრი ქართველი ელჩი აშკარად საბოტაჟს უწყობს ივანიშვილს — კერძოდ, ორი კვირის წინათ საქართველოს ელჩმა ევროკავშირში თვალსახიერი საბაბით უარი განაცხადა, შეხვედროდა პრემიერს, როდესაც იგი ბრიუსელში ჩავიდა.

— ინფორმაცია საქართველოში სიტუაციის შესახებ დასავლეთში ძირითადად მოდის საკაშვილის მომხრეებისგან, რომლებიც ყოველთვის წარმატებული იყვნენ პიარში, — ამბობს თედო ჯაფარიძე. — ეს ქვეყნის ახალი ხელისუფლებისთვის დიდი პრობლემაა. ჩემი მონაცემებით, საქართველოს ელჩების შეცვლის პროცესი, რომელიც განიხილებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროში ეროვნული უშიშროების საბჭოსთან ერთად, შეჩერებულია პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

დამასკოში აფეთქდა დანაღმული ავტომობილები — დაიღუპა მინიმუმ 29 კაცი

ადგილობრივმა ტელევიზიამ აჩვენა მეხანძრეთა მუშაობა აფეთქების ადგილზე და მანქანების ორი გადამწვარი სადგარი. აფეთქების შედეგად დაზიანდნენ მეზობელი სახლები და ახლო-მახლო მანქანები.

* * *

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე დამკვრელური ტემპით აგებენ ახალ სარკოფაგს: აიტანეს პირველი თაღი, რომლის წონაც ნ3100 ტონაა

მშენებლობის ღირებულება დაახლოებით მილიარდნახევარი ევროა და მისი მშენებლობა დაიწყეს ავარიის 26-ე წლის დასაწყისში, თუმცა გვპირდებიან მის დასრულებას 2015 წლის ბოლომდე. „უკვე გავლილია მნიშვნელოვანი ზღვარი“, — უხარიათ პროექტის ხელმძღვანელებს. სარკოფაგი გაძლებს სულ ცოტა 100 წელი. მის თაღებქვეშ შეიძლება განვათავსოთ თავისუფლების ქანდაკებაც კი.

* * *

ავსტრალიის პლაჟებზე წყალი სისხლივით წითლად შეიღება, რამაც შეაშინა დამსვენებლები

არაჩვეულებრივ მოვლენასთან დაკავშირებით დაიხურა სიდნეის რამდენიმე პოპულარული პლაჟი, თუმცა ზოგიერთმა ექსტრემალმა მაინც არ თქვა უარი, ეცურავა წითელ წყალში. აღებულმა ნიმუშებმა აჩვენა, რომ არაფერი საშინელი არ მომხდარა, ყველაფრის მიზეზი წყალმცენარეები აღმოჩნდა. საბედნიეროდ, ისინი „წყალს აქცევენ სისხლად“ მხოლოდ ყვავილობის დროს.

* * *

შიშველმა მოპროტესტეებმა შეუტიეს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერის ოფისს

შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის მოძრაობის აქტივისტებმა გაიხადეს სიტყვებით, რომ სურთ, გაიგონ „შიშველი სიმართლე“ ამ დაავადების სამედიცინო და სარეაბილიტაციო პროგრამების სახელმწიფო დაფინანსების შემცირების შესახებ. „ულირსი და არასწორი მოქმედებებისთვის“ სამი ქალი დააკავეს, მათს ოთხ მომხრეს პოლიციამ ხელი არ ახლო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კანონმდებლები

საპარლამენტო უმცირესობის რიგები დღითი დღე თხელდება. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ერთმა დეპუტატმა რევაზ შავლოხაშვილმა დატოვა, რომელიც უმრავლესობაში გადადის. მართალია, შავლოხაშვილი საკუთარი გადაწყვეტილებით პრეცენდენტს ვერ შექმნის, რადგან 21 ოქტომბრიდან დღემდე ყოფილი მმართველი პარტია ექვსმა კანონმდებელმა დატოვა, მაგრამ ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რღვევა „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შანსებს უზრდის. ოპოზიციაში დაწყებული რყევებით კი, პირველი სარგებელი კონსერვატორებმა ნახეს, რომელთაც პარლამენტში უკვე ფრაქცია დაარეგისტრირეს. კერძოდ, შავლოხაშვილის წყალობით, ხუთმა კონსერვატორმა – ზვიად ძიძიგურმა, ბიძინა გუჯაბიძემ, გიგა ბუკიამ, მერაბ კაჭახიძემ და პაატა კვიჟინაძემ, ფრაქციის მეექვსე წევრად შავლოხაშვილი დაიმატეს და რეგლამენტით, ფრაქციის შექმნის უფლება მოიპოვეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები კადრების გადინებას ჩვეულებრივ მოვლენად აფასებენ, თუმცა, გუნდის ყოფილ წევრებს მკაცრად აკრიტიკებენ და მათ გადაწყვეტილებას „რაღაცას“ უკავშირებენ. ამ „რაღაცას“ აკაკი ბობოხიძე არ აკონკრეტებს, გოკა გაბაშვილი კი, „მედროვეობასთან“ აიგივებს. როგორც for.ge-ს გაბაშვილმა განუცხადა, არსებობენ ადამიანები, რომელთაც უმცირესობასა და ოპოზიციაში ყოფნა არ შეუძლიათ და საკუთარ თავს მხოლოდ ხელისუფლებაში ხედავენ. მართალია, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ეტაპზე, იმის საშიშროებას და შესაძლებლობას ვერ ხედავენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტის შემადგენლობის 2/3 გააკონტროლოს, თუმცა, ფაქტია, რომ ბურთი უმრავლესობის მოედანზეა და კარის მიმართულებით სვლას განაგრძობს.

მოსალოდნელია თუ არა „ნაციონალური მოძრაობიდან“ კადრების გადინების ტენდენციის ზრდა? ამის თაობაზე For.ge ფრაქცია – „ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარების“ თავმჯდომარეს აპაკი ბობოხიძეს ესაუბრა:

რამდენად სწრაფად დაიშლება ყოფილი „ერთი გუნდი?“

ნაციონალთა რიგები კიდევ ერთმა დეპუტატმა დატოვა

– უმცირესობის რიგები რევაზ შავლოხაშვილმა დატოვა. რატომ?

– უმცირესობის რიგები ერთმა წევრმა დატოვა, ხოლო ფრაქცია „ქართული ოცნება“ ხუთმა წარმომადგენელმა, რაც პარლამენტში ჩვეულებრივი პროცესია. ალბათ, ძალთა გადანაცვლება პოლიტიკური შეხედულებებისა და გემოვნების ცვლილებით ხდება. როგორც ჩანს, იმის მიუხედავად, რომ ზრდასრული ადამიანები ვართ, ჩვენი პოლიტიკური გემოვნება ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. თუმცა, ყურადღებას იმაზე რატომ არ ამახვილებთ, რომ „ქართული ოცნების“ რიგები ხუთმა წევრმა დატოვა?

– ყოფილი მმართველი პარტიის რღვევა ყურადღებას მხოლოდ იმიტომ იმსახურებს, რომ თქვენი რიგების რყევით, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს. შესაბამისად, აპრიორი თქვენზე კეთდება...

– შავლოხაშვილი მართლაც არ არის ის ადამიანი, რომელსაც გადაწყვეტილების მიღებისთვის სერიოზული მიზეზი არ ექნებოდა. როგორც ჩანს, მან სასწორის ერთ მხარეს ღირსება და მეგობრებთან ურთიერთობა დადო, ხოლო მეორე მხარეს რაღაც, რამაც გადაწონა.

– რა „რაღაც“?

– გამოვრიცხავ, რომ ზემოქმედების გარდა, ეს სხვა რაიმე ყოფილიყო. შავლოხაშვილი პატარა ბიჭი არ არის და მას სერიოზული ცხოვრება აქვს განვლილი. თუმცა, როდესაც, ადამიანი რაღაც გადაწყვეტილებას იღებ, მაიძულებელი ფაქტორი გაქვს. შავლოხაშვილი ჩამოყალიბებული კაცია, რომელსაც თავისი ცხოვრების წესი ჰქონდა და შეუძლებელია, ყოფა რადიკალურად შეეცვალა. გადაწყვეტილების გამო, მას ალბათ, საშინელი დისკომფორტი აქვს, მაგრამ იძულებულია, რომ რაღაცის გათვალისწინების გამო, ეს ნაბიჯი გადადგას. როცა ადამიანი ნაციონალი იძინებ და დილით კონსერვატორი იღვიძებ, ე.ი. საქმე რაღაცასთან გვაქვს. მას ნაბიჯი ბოლომდე არც გადააგმევინეს და იმის უფლებაც კი არ მისცეს, რომ ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებულ ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ გადასულიყო. ეტყობა, ამასაც დამსახურება სჭირდება.

– ერთი თვის განმავლობაში თქვენი რიგები შავლოხაშვილის გარდა, კიდევ ექვსმა კანონმდებელმა დატოვა. კერძოდ, კახა ოქრიაშვილმა, გოდერძი ბუკიამ, ენზელ მკოიანმა, სერგო ხაბულიანმა, გოგი ლიპარტელიანმა და გიორგი გოზალიშვილმა. ეს სტატისტიკა იმაზე მიუთითებს თუ არა, რომ თქვენს გუნდშიც ადამიანები „რაღაცისთვის“ იყვნენ და საბოლოო ჯამში, თქვენს პოლიტიკურ პლატფორმას არ იზიარებდნენ?

– ალბათ, ეს მსგავს რამეზეც მიუთითებს. თუმცა, თქვენს მიერ დასახელებული ადამიანები გაცილებით უფრო პატიოსნად მოიქცნენ, რადგან მათ „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების შესახებ განცხადება, არჩევნებიდან მეორე დღესვე გააკეთეს. ნიშანდობლივია ის, რომ მსგავს გადაწყვეტილებას ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანები იღებენ, რაც სამწუხაროდ, იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენთან ისინი ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე იყვნენ.

– ანუ, ისინი ბიზნესინტერესების დაცვას კვლავ განაგრძობენ?

– სამწუხაროდ, საქართველოში ბიზნესმენები იძულებულნი იყვნენ და იქნებიან საკუთარი პოლიტიკური პოზიცია იმისდა მიხედვით შეარჩიონ - პოლიტიკაში თუ ვინ არის. ეს კი, ქვეყანაში არსებულ კარგ ვითარებაზე არ მეტყველებს.

– რამდენიმე დღის წინათ, პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებებს მოამზადებს, რომლის თანახმად, კონსტიტუციურად მმართველობის საპარლამენტო მოდელი პრეზიდენტის არჩევნებამდე ამოქმედდება. ვინაიდან, „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავს, თქვენი რიგებიდან კადრების გადინება კიდევ უფრო ხომ არ დაჩქარდება?

– დავით უსუფაშვილმა არასამთვროებთან გამართულ შეხვედრაზე განცხადება გააკეთა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა მიდის, რომელსაც 2/3 სჭირდება. ანუ, ირიბად მუშაობა გრძელდება, რომ ასი კაცი მოგროვდეს. ეს მოგროვება კი, აგიტაციით ხდება თუ ზეწოლით, ეს უკვე საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს. რაც შეეხება კადრების გადინებას, არავინ არ არის გარანტირებული – თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს. მათ შორის მეც, რომელსაც მგონია, რომ რაღაც ტიპის გადაწყვეტილებას არ მივიღებ, არ ვიცი, რა რეალობის წინაშე დავდგები. შესაბამისად, ვინმესკენ თითის გაშვერა არ მინდა. ჩვენი რიგებიდან კი იმ ხალხის გადაყვანას ცდილობენ, რომლებზეც ადრე ამბობდნენ, რომ „ძალიან ცუდები“ არიანო და მაინტერესებს, თუ ცუდები არიან - მათთან რა უნდათ?

– რა უნდათ?

– ერთადერთი – მათი ხმა სჭირდებათ, ხმა – საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის. თუმცა, პრემიერს ვურჩევ, რომ როგორც უამრავი დაპირება წაიღო უკან, რასაც ღირსებად ვუთვლი, ქუთაისიდან პარლამენტის თბილისში გადატანას უმნიშვნელო საკითხად ნუ გახდის.

– თუმცა, საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადებასთან დაკავშირებით აქცენტი კეთდება არა პარლამენტის გადატანაზე, არამედ პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვაზე...

– პრეზიდენტის უფლებები შეზღუდულია და მიხეილ სააკაშვილი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებზე არანაირ ბერკეტს არ იყენებს და დაბრკოლებებს არ ქმნის. ამ ბერკეტების გამოცლა რისთვის უნდათ და ოქტომბრამდე რატომ ჩქარობენ, არ მესმის. ეტყობა, თეორიულად იმას უშვებენ, რომ მათ შეიძლება ისეთი ნაბიჯის გადადგა მოუწიოთ, რომელიც ქვეყნისთვის სასიკეთო არ იქნება. როგორც ჩანს, დახურული თემები და გეგმებია და პრეზიდენტი მთავრობას დისკომფორტს უქმნის. სამთავრობო ძალისხმევა იქითკენ არის მიმართული, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ არსებობდეს.

– თქვენ აცხადებთ, რომ პრეზიდენტი ახალ მთავრობას დაბრკოლებებს არ უქმნის, თუმცა, თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ ერთ-ერთი პრობლემაა ელჩები, რომელთა პოსტებზე დანიშვნა და გათავისუფლება პრეზიდენტის პრეროგატივაა. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ფრანგული პრესა ხელისუფლების მწვავე კრიტიკით აჭრელებულია და ყოფილი დიპლომატი ამ ფაქტს ძველი ელჩების თანამდებობებზე დატოვებას უკავშირებს...

– პრეზიდენტის პრეროგატივა მთავრობის დანიშვნაც იყო, მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტს პრემიერ-მინისტრის მიერ შერჩეული მინისტრები წარუდგინა. ზუსტად ასეთი ვითარებაა ელჩებთან დაკავშირებითაც. პრეზიდენტი მზად არის, თუ სადმე, რომელიმე ელჩის პიროვნება ან მუშაობა საერთო სტრატეგიულ კონტექსტში ვერ ჯდება, ამაზე მუშაობა დაიწყოს და იგი დაითხოვონ. ამას კი პრეზიდენთან თანამშრომლობა სჭირდება და არა მკლავჭიდი.

თეონა მანაგაძე

◎ წიგნი

წმიდა ალაგი იმთავითვე განგაწყობს წმიდაზე ფიქრისათვის...

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი ქაქუცა ჩოლოყაშვილზე

თუ უფლის ნება არ გაჩნდა ზოგში,
რა გამოარჩევს კაცს კაცთა ჯოგში?!

კითხვა რიტორიკულია.

არც არაფერი. ვერც ვერაფერი.

კაცს კაცთა ჯოგში მხოლოდ უფლის მაღალი ნება თუ გამოარჩევს.

უფლის ნება და ჯოგის ინსტინქტი იმთავითვე გამორიცხავს ერთურთს.

პიროვნება უფლისაა, მსგავსება და ხატი შემოქმედისა, ჯოგი – უსახურ, ერთნაირ არსებათა უღიმღამო ჯგრო, ერთნაირობითა და უღიმღამობით ავად გაღიზიანებული.

ერის ჯოგად ქცევაა ყველა მტრის, ხილულისა თუ უხილავის, ავი მიზანი.

ერისკაცებისა – პირიქით, ჯოგისა – პიროვნებად, პიროვნებებად, მერე – ერად...

ქართველობა ჯოგი არასოდეს ყოფილა, ყოველთვის ერი იყო, რადგან უცნაური ნიჭი (ხშირად საბედისწერო) მიჰმადლებოდა – „ეგება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა“-ს გაცნობიერების ზეადამიანური უნარი;

„რა ვქნისა“-ს ციხეს იგებდა ქართველი, ჯავრის კარშებმულს, იცოდა, „დრო რომ მუალის, კარ გაიღების თავადა“...

ქართველი ყოველთვის პოეტი იყო, საყდარს ააგებდა, სახელს არსად ამოტვიფრავდა, მხოლოდ „შენდობით მომიხსენიეთო“, მიაწერდა სადმე, კუთხეში, უხილავ ალაგას...

„თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმაო...“ – ნუგეშად მოვიდოდა ფიქრი...

ღმერთმა იცოდა... ღმერთმა იცოდა კაცისა, რადგან კაცი მისივ ქმნილება იყო, ქმნილებათაგან უკეთესი.

„მე ვარ ვითარცა უფსკრული – შესაკრებელი ბილწებისა ღვართაი“, – იტყოდა ქართველ მეფეთაგან უპირველესი, სინანულის საგალობელს წარმოსთქვამდა...

ერიც მეფეს ბაძავდა, მეფესავით სადა და უბრალო (ბრალის, ცოდვის არმქონე!) იყო – უსამკაულო, არაღვლარჭნილი.

„ჰე თქვენი ჰე იყოს, არა – არა“, – საუფლო წიგნით დამოძღვრილი ერის თაურმდგენი რწმენის რაინდს, ავთანდილს სადადვე ათქმევინებდა, „მართლად გითხრობ, არა ჭრელადო...“

„ჭრელი“, ქართული მსოფლაღქმით, მაცდურის ეპითეტი იყო...

„დრონი იცვალნენ...“

რუსთველის შემდეგ, ძალიან, ძალიან მალე დაეღირნენ საქართველოს „ხვარაზმელი სასიძოები“, რომელთა „თავნი სვეტს ვერვინ შეუტაკნა...“

დიდგორს ის თუ მოიგებს, ვისაც „გალობანი სინანულისანი“-ს დაწერა ხელეწიფება...

განა არ გაბრწყინებულა ნათელი! გიორგი V ზედწოდება „ბრწყინვალე“ ნათლის ანარეკლია, მაგრამ, ვაგლახ – მხოლოდ ანარეკლი...

ჟამთააღმწერლის „დიდი ღამე“ „უთენარო ღამედ“ ქცეულიყო...

ჟამითჟამ უფლის ნება ჩნდებოდა ერში, ჯოგში კაცნი ირჩეოდნენ.

ხანძთელი, დავითი, ილია გაზვიადებული ტრიადა, ალბათ, როდია.

უცნაურად ჰგვანან ისინი ერთმანეთს, რწმენის, თმენის უსაზომო ნიჭით, უდაბნოთა ქალაქყოფით – უპირველესად, სულიერი უდაბნოსი.

ერის ჯოგად ქცევა ძალიან, ძალიან ადვილია, ჯოგისა ერად – შეუძლებელი.

და მაინც...

ცქირის ძალისხმევით ხანძთის დასარბევად წარგზავნილი ჯოგი ხანძთელის ლოცვამ და მადლმა ერად გარდაქმნილი გააბრუნა სალოცავიდან.

ილიას მარმარილოს შუბლს მიზანში ჯოგი იღებდა და არა ერი.

მცხეთის ქალაქს ნადუღარი მირონი წიგნებიდან წვეთავდა.

ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ოდესღაც ასე დაუმოძღვრავს შვილი: „ეს ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწყენია, თუ რამ საღვთო მიზნისთვის არ იღვწიო...“

მიზნისთვის კი არა, საღვთო მიზნისთვისო...

უფლის იმედი არასოდეს ცუდდება.

ღვთისკაცი და კერპი ქართველს ერთმანეთში არასოდეს არევია.

ერი იყო (და არა ჯოგი) და იმიტომ.

მელნისფერი წიგნის ყდაზე გარინდულა შავჩოხიანი ვაჟკაცი, თვით წიგნში ზრიალებს ეპოქის ქარტეხილი...

ის მელნისფერიც ქლიავისფრად დაბინდული მთებისა თუ იყო, ქაქუცას სულივით უდრეკი კავკასიონის ღვთიური ფერი...

როსტომ ჩხეიძე ქართველთა მარადიულ, წყევლაკრულვიან საკითხავზე დააფიქრებს მკითხველს ბიოგრაფიულ რომანში „შავი ჩოხა“, საუფლო სიტყვის დამმარხველებზე – თვითონაც საუფლო სიტყვის დამმარხველი.

პირველად იყო სიტყვა... „დამარხულ არს ენაი ქართული“... როცა ასე მოძალებულა „ხალისობანი ხროვისანი“, დაველოდოთ უკეთეს დღეებს, რომელთა გარდაუვლობის ასე სწამდა ერის მსახურად ღვთისგან ხელდასხმულ ქაქუცა ჩოლოყაშვილს და ასე სწამს დიდ მამულიშვილზე ქართველთა კიდევ ერთხელ „დამაფიქვრელ“ როსტომ ჩხეიძეს – გმირთა დაუღალავ ქომაგსა და მოსარჩლეს...

ნანა კუცია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ დაფასება

პრემიერის მონაწილეობით

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს 4-გზის და მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის — რომან რურუას 70 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საზეიმო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას სამინისტროს ხელმძღვანელებთან, ვეტერან სპორტსმენებთან, ოლიმპიურ ჩემპიონებთან და მედიის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დაესწრო.

ბიძინა ივანიშვილმა რომან რურუას საიუბილეო თარიღი მიულოცა და იუბილესთან დაკავშირებით ოქროს ლომის ქანდაკებით დააჯილდოვა, ხოლო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონს სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა, ვეტერან მოჭიდავეს ასევე გადაეცა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) ორდენი. FILA-ს ორდენით რომან რურუა პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლერი ხაბელოვმა დააჯილდოვა.

შეხვედრაზე უჩვენეს სპორტული ჟურნალისტის თამარ ბალავაძის ფილმი ოლიმპიურ ჩემპიონებზე მომზადებული დოკუმენტური ფილმების სერიიდან — „ერთი ჩემპიონის ისტორია“, ასევე მოეწყო რურუას საავტორო წიგნის „ქალამნებიდან ჩემპიონობამდე და კიდევ“ პრეზენტაცია.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭიდაობა

სეზონის ფინიშზე

ამ დღეებში დილომში მდებარე ძიუდოს აკადემია თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატს მასპინძლობს. შეჯიბრების საწყის დღეს ჩემპიონ-პრიზიორები ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. ნნ კილოგრამში ოქროს მედალი თბილისელმა გიორგი ედიშერაშვილმა მოიპოვა, ვინც ფინალში გივი დავიდოვს მოუგო დამაჯერებლად.

66 კილოში გორელმა კონსტანტინე ხაბალაშვილმა იჩემპიონა. საინტერესოა, რომ ამ წონაში საქართველოს შარშანდელი ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალი განმეორდა და ანალოგიური შედეგითაც დასრულდა — კონსტანტინე ხაბალაშვილმა ზურაბ იაკობაშვილი ბურთულის ფერის ორჯერ დაჯდომის წყალობით დაამარცხა. არადა, მეორე შემთხვევაში, ვაზაში დარჩენილი სამი ბურთულიდან, ორი იაკობაშვილის იყო და კენჭისყრის დროს მაინცდამაინც, ის მესამე ამოვიდა.

84 კგ-ში წონის და მთლიანად ნაკრების ლიდერმა დავით მარსაგიშვილმა ყველა ორთაბრძოლა იოლად მოიგო და ოქროს მედლის მფლობელი კიდევ ერთხელ გახდა. საჭიდაო დღის ბოლო ფინალი კი 120 კილოგრამში გაიმართა და გულშემატკივრის მოლოდინიც გაამართლა.

ახალგაზრდული ნაკრების მძიმეწონოსანმა წევრმა გენო პეტრიაშვილმა, მოულოდნელად, ჯერ ლონდონის ოლიმპიადის ფინალისტი დავით მოძმანაშვილი დატოვა ფინალს მიღმა, შემდეგ კი, ოქროს მედლისთვის ბრძოლაში, ნაკრების წევრობის კიდევ ერთ მთავარ კანდიდატს, გიორგი საკანდელიძეს აჯობა.

მანუჩარ გორგაძე



◎ კალათბურთი

გვჭირდება ასეთი „არმია“?

ძართული საკალათბურთო კლუბი „არმია“ სპორტის სასახლეში 72:79 დამარცხდა ებრაულ „ჰაპოელთან“ და ევროჩელენჯის ჯგუფური ეტაპიდან გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ორი მატჩი დარჩა ჩასატარებელი.

„არმიას“ მანამდე სამივე თამაში წაეგო, მათ შორის „ჰაპოელთან“ — სტუმრად 69:84 და ჯგუფური ეტაპიდან გასასვლელად მართებდა ახლა ამ გუნდის მინიმუმ 15 ქულით დამარცხება, შემდეგ კი დარჩენილი ორივე მატჩის მოგება.



მატჩის დასაწყისში მოვლენები „არმიისთვის“ ხელსაყრელი სცენარით განვითარდა. საქართველოს ორგზის ჩემპიონმა მეტოქეს აქტიურად შეუტია და პირველი მეოთხედი 28:17 მოუგო. ბრძოლაში გაილია მეორე 10-წუთეულიც, თუმც აქ „ჰაპოელმა“ სხვაობა სამი ქულით შეამცირა და ტაიმი მასპინძელთა 8-ქულიანი უპირატესობით დასრულდა - 46:38.

სამწუხაროდ, „არმიამ“ მეორე ტაიმი ჩააგდო და არათუ უპირატესობა გაზარდა, არამედ მეტოქეს უკვე მესამე მეოთხედში მისცა ჩამორჩენის გაბათილების და წინ გასვლის საშუალება. ვერც დასკვნითი პერიოდი წარიმართა მასპინძელთათვის სასურველი სცენარით.

მეორე ტაიმში აშკრად დაღლა დაეტყოთ „არმიის“ ასაკოვან ლეგიონერებს. კურტის მილიჯი, ლამეინ უილსონი, მარკუს ფეისონი და იოაკიმ შელბომი 30 წელს გადაცილებულები არიან. თუმც მილიჯი და უილსონი კვლავ საუკეთესონი იყვნენ და ჯამში 43 ქულა, 12 მოხსნა და 9 პასი მოაგროვეს.

ქართველმა მოთამაშეებმა კი კვლავ ვერ შეძლეს ლეგიონერთა ჯეროვნად დახმარება. ქართველთაგან გამოირჩა გიორგი გამყრელიძე, რომელმაც წლეულს ევროჩელენჯზე საუკეთესო მატჩი ჩაატარა და 12 ქულა და 7 პასი მოაგროვა. საქართველოს ნაკრების კიდევ ერთმა ყოფილმა მოთამაშემ ვლადიმერ ბოისამ კვლავ უქულოდ დაასრულა მატჩი, თანაც პირველივე პერიოდში მიიღო მძიმე ტრავმა.

ამგვარად„არმიამ“ ზედიზედ მეოთხე თამაშიც წააგო და ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირს კვლავ ჯგუფურ ეტაპზე დაასრულებს. ჯგუფიდან დიდი ალბათობით გავლენ „ჰაპოელი“ და გერმანული „ტელეკომი“, რომელთაც კონკურენციას ბელგიური „ანტვერპენი“ თუ გაუწევს.

„არმიას“ გასამართი დარჩა ორი თამაში — 4 დეკემბერს სტუმრად „ანტვერპენთან“, ხოლო 11 დეკემბერს შინ „ტელეკომთან“.

ევროჩელენჯი. ჯგუფური ეტაპი. H ჯგუფი. მეოთხე ტური

27 ნოემბერი. თბილისი, „სპორტის სასახლე“

„არმია“ 72:79 „ჰაპოელი“ (28:17 18:21 11:21 15:20).

„არმია“: მილიჯი (23), ფარლავა (2), ფეისონი (10), ვ. ბოისა, უილსონი (20); გამყრელიძე (12), შარაბიძე (4), ჯგერენაია (1), შელბომი, ა. ბოისა, წივწივაძე.

მწვრთნელი: კოტე ტუღუში.

„ჰაპოელი“: როზენი (4), დაიესონი (31), დანიელი (1), სმიტი (8 ქულა, 13 მოხსნა), ჰასელი (19 ქულა, 12 მოხსნა); ჰილი (11), ჰარუში (5), ჩერნუშევიჩი, ფარჰი.

მწვრთნელი: დან შამირი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ოქსანას შემოდგომა

ჩვენებურმა ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ დუბაიში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე, ერთეულთა თანრიგის დარად, წყვილთა გათამაშებაშიც წარმატებული სტარტი აიღო. კალაშნიკოვას და ტაილანდელი ტანასუგარნის დუეტმა ბრიტანელებს (მიურეი/უებლი-სმიტი) 6:1, 6:1 სძლია და მეოთხედფინალში გააღწია.

ქართულ-ტაილანდური წყვილი მე-2 რაუნდში იტალიელი კამერინის და რუსი დუშევინას ტანდემს დაუპირისპირდება. ეს მატჩი დღეს საღამოს შედგება, მანამდე კი ოქსანას ერთეულთა შეხვედრა ელის.

უკვე ცნობილია, რომ 15th Al Habtoor Tennis Challenge 2012-ის მერვედფინალში კალაშნიკოვას მოწინააღმდეგე იაპონელი ვეტერანი კიმიკო დატე-კრუმი იქნება. მე-8 ნომრად განთესილმა 42 წლის აზიელმა საწყის წრეში ლატვიელი ანასტასია სევასტოვა 7:5, 6:1 დაამარცხა.

აქვე ვთქვათ, რომ ოქსანამ უკვე გამოიმუშავა 14 სარეიტინგო ქულა, ხოლო თუკი მომდევნო შეხვედრაშიც იმარჯვა, აქტივს 30 ქულას შემატებს.

საკუთარი ინფორმაცია

◎ ფეხბურთი

მოურინიოს მე-400 გამარჯვება

„ალკოიანოსთან“ ესპანეთის თასის მატჩი (3:0), მადრიდის „რეალის“ თავკაცის ჟოზე მოურინიოსთვის საიუბილეო გამოდგა — „სამეფო კლუბის“ ოფიციალური საიტის ცნობით, ეს პორტუგალიელის სამწვრთნელო კარიერაში რიგით მე-400 გამარჯვება იყო.

მოურინიოს გამარჯვებები: „რეალში“ — 103, „ინტერში“ — 67, „ჩელსიში“ — 124, „პორტუში“ — 91, „ბენფიკაში — 6, “ლეირიაში“ — 9.

მოურინიომ „რეალში“ თამაშების 74% მოიგო, „ინტერში“ — 62%, „ჩელსიში“ — 68%, „პორტუში“ — 71%, „ბენფიკაში“ — 54%, „ლეირიაში“ — 45%.

როსტომ რაჭველიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ერის გონება

უმეცნიერებოდ ქვეყანა უპერსპექტივოა

...საძართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზი ხალხითაა გადაჭედილი — მეცნიერთა ცნობილ სახეებს შორის გამოარჩევთ ერის სასიქადულო, სახელოვან ადამიანებს, ჭაღარა მეცნიერებს, რომელთა სახელებს არა მარტო ჩვენს სამშობლოში იცნობენ...

მოწიწება გიპყრობს ამ ადამიანთა შეხვედრისას. მისასალმებელია, რომ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა, მისი თავმჯდომარის, აკადემიკოს ივანე კიღურაძის თაოსნობით, პირველი გასვლითი ღონისძიება სწორედ „ერის გონსა და ტვინში“, მეცნიერებათა აკადემიაში გამართა. ეს კი შემთხვევით არ მომხდარა, რადგან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ხელისუფლების მრჩევლის სტატუსი ყოველთვის ჰქონდა.

ბატონი ივანე კიღურაძე მიესალმა მეცნიერებს და ისაუბრა მათ ღვაწლსა და დამსახურებაზე, იმ პრობლემებზე, რაც ბოლო წლებში მათ წინაშე იდგა **— არ მეგულება მთელ მსოფლიოში ხელისუფლება, რომელიც „ჩარეცხილებს“ უწოდებდეს თავის რჩეულ, ნაღვაწ პიროვნებებს, მასწავლებელთა მასწავლებლებს, ყოფილი ხელისუფლებისა და ლენინის გარდა,** — თქვა მან.

დღის წესრიგში, უპირველესად, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სტატუსის აღდგენა დგას.

ქართული აკადემიის წევრმა თემურ ნანეიშვილმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ყოფილმა ხელისუფლებამ მოახერხა და მანკიერი აზრი დანერგა, თითქოს ღარიბი ქვეყნისთვის მეცნიერება ფუფუნებას წარმოადგენდეს. არადა, მყარი დემოკრატია მეცნიერების გარეშე შეუძლებელია, რომ საჭიროა ახალგაზრდა კადრების მომზადება, სამეცნიერო ჟურნალების გამოცემა, აკადემიაში შემავალმა ინსტიტუტებმა ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გაიარონ კვალიფიკაცია.

— რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შენობაში მანდატურები შეასახლეს, რაც ყოვლად წარმოუდგენელია. ინსტიტუტთა შენობა-ნაგებობები მეცნიერებათა აკადემიას უნდა გადაეცეს, — დასძინა მან.

ქართული აკადემიის წევრის ჯემალ მებონიას თქმით, სამართალი უნდა აღსდგეს, მაშინ, როცა თვითონ უნივერსიტეტების სტუდენტები გამოდიან და ცოდნის დონის ამაღლებას ითხოვენ. განათლების სტრატეგია მთავრობასთან ერთად მკვლევარ-მეცნიერთა ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ავთანდილ არაბულმა ხაზი გაუსვა უკანასკნელი წლების არაპროფესიონალიზმს განათლების სისტემაში, რის შედეგადაც უმძიმესი შედეგები მივიღეთ არა მარტო სკოლაში, არამედ უმაღლეს სასწავლებლებში და მეცნიერებაში.

მეცნიერმა თორნიკე ქადეიშვილმა აღნიშნა, რომ კვლევით ინსტიტუტებს აუცილებლად უნდა დაუბრუნდეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, რაც ყოველთვის ჰქონდათ, უნდა მოხდეს მათი განცალკევება უნივერსიტეტიდან.

გამომსვლელები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ აქამდე მორალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შეურაცხყოფილნი და უგულებელყოფილნი იყვნენ. გამომსვლელებმა კითხვაც კი დასვეს: **პროფესორი, რომელსაც თვითონ ხმის ამოღების ეშინია, გაზრდის კი თავისუფალი აზროვნების სტუდენტს?** მეცნიერს არც იმის უნდა ეშინოდეს, ვაითუ, გრანტი ვერ ავიღო და რა მეშველებაო... **მეცნიერი აუცილებლად უნდა იყოს დაცული სახელმწიფოსგან, უნდა შეექმნას გარკვეული სოციალური გარანტიები. დაფინანსების წყაროდ კი სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა მოევლინოთ.**

მართლაც, მეცნიერი ფაქიზი ბუნების ადამიანია. მას უჭირს ბრძოლა გარემოებებთან. ამიტომაც სჭირდება სახელმწიფოს თანამდგომა და ზრუნვა. მისი ნიჭი დასაფასებელია, რადგან სახელმწფიო ვერ განვითარდება მეცნიერების გარეშე.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი და მისი მოადგილე დავით ზურაბიშვილი.

ლია ჟიღლაძე

ხსოვნა

ნოდარ მეგრელიშვილი

ნათელი გონების დახვეწილი პროფესიონალი ეკონომისტი იყო 58 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაცვლილი **ნოდარ მეგრელიშვილი**. მან შეძლო ის, რაც მხოლოდ გამორჩეულებს შეუძლიათ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე - ღრმა კვალის დატოვება მშობლიური რაიონის ეროვნული მეურნეობის განვითარებაში. ამის უტყუარი დასტურია ათეული წლების განმავლობაში მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა რიგით ეკონომისტად, რაიონის აღმასრულებელ ორგანოში პასუხსაგებ თანამდებობებზე, სავანის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორად, საფეხბურთო კლუბ „ჩიხურას“ პრეზიდენტად, უკანასკნელ დღეებამდე კი მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსად მუშაობისას.

იგი ასეთივე გამორჩეული იყო როგორც პიროვნება, მოქალაქე, მეგობარი, კარგი ოჯახის მამა და ღირსეული მეუღლე.

ამიტომაც არ გვეეჭვება, რომ ღვთიური ნათელი მოეფინება ნოდარ მეგრელიშვილის იმ ქვეყანაში გარდასახვას.

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო, გამგეობა, გამგეობის სამსახურები.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან აბაშის რაიკომის ყოფილი მეორე მდივნის, ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტის, საქვეყნოდ აღიარებული ფინანსისტის, ყველასათვის საყვარელი პიროვნების, პროფესორ

გივი გამსახურდიას

გარდაცვალებას.

◎ ვაიმე, ენავ!

ნიორჩიორჩიტობა

რუბრიკას უძღვება მურმან თავდიშვილი

რაც უფრო ძველდებიან, ცხელდებიან და ბრაზით სკდებიან ნაცების ბიჭბუჭები და ქალები, ანუ თხები და თხალები, მით უფრო უცნაურქართულად ნიორჩიორჩიტობენ. ამ მხრივ მათ ტოლს არ უდებენ ნაცების სიმპათიების გამოვლენაში შემჩნეული დიქტორები.

ამას წინათ აკაკი მინაშვილი უცნაურ რასმე ამბობდა (31, X, 20 სთ. I არხი): **„კონსპირაციით სხვაზე გადაბრალება“** (მეოცნებეებმა რაღაც კონსპირაციულად გადაგვაბრალესო); იქვე დიქტორმა გოგონამ ასეთი მარგალიტების გამოყენებით მიუხმატკბილა: **„რითი დაკავდებაო“, „მთავარი პრიორიტეტებიო“** (თითქოსდა პრიორიტეტი მთავარსა და ძირეულს ისედაც არ გულისხმობდეს!).

სხვა არხზეც უთავბოლოდ ჭუკჭუკებდნენ. ნ. მღებრიშვილი აცხადებდა: **„დაკავებული აქვთ სოციალური სტატუსის პირები“** (?). მეორეჯერაც იგივე აბსურდი გაიმეორა („რუსთავი-2“, 31.X.21 სთ.). მანვე იჩიორჩიტა: **„პირველ რიგშიო“** და მალე უდუმაშვილიც შეეშველა: **„კი, პირველ რიგშიო“.** ამათ არა სცოდნიათ, რომ ეს ფორმა რუსულის კალკია; ქართულად ასე ითქმის: უწინარეს ყოვლისა; დ. დარჩიაშვილის უნამუსო გამოთქმას, **„უპირატესობის მიცემაო“,** დიქტორი პაიჭაძე ასე ჩაეშველება: **„ვციტირებო“.** ხომ მართლა მაგარია „ვციტირებ“, არა?

1 ნოემბრის 22-საათიან გადაცემაში პაიჭაძის სტუმარი I არხსაც და ყოველგვარ ენობრივ სინდისს გადასცილდა: **ანვითარებსო, კარქი იქნებაო. ნუ... ნუ... ნუ... კი განუწ ყვეტლივ „იძახა“ და „იძახა“.**

იმავე გადაცემაში ორმა სხვადასხვა დიქტორმა არაერთხელ მოიმარჯვა მცდარი „პირველ რიგში“.

ამავე გადაცემაში გაცეცხლებული ჩიორა თაქთაქიშვილი ასე მეტყველებდა: **დღეს ზეწოლებს აქვს ადგილიო“;** განსაკუთრებით იმას აეღელვებინა ეს ზნეფაქიზი ჩიტუნია, რომ **„რელიგიური უმცირესობის აღმსარებლობას ჯეროვნად არ ვიცავთ“,** თუმცაღა პატიმართა და ხელაუპყრობელთა უფლებებს რომ ცოცხების გამოყენებით იცავდა, ეს აღარ გახსენებია.

ასეა, მოკლე მეხსიერება ავი რამ არის!

როგორც იქნა, კახა ლომაიაც გამომშვენიერდა ეკრანზე და, რაც პირველადვე გვაჯახა, ეს იყო: პირველ რიგშიო. რუსულის ეს კალკი ბევრჯერ ახსენა, ოღონდ, სულო ცოდვილო, იმ დღეს ბავში აღარ უხსენებია; სამუქფოდ ასეთი რამ ბრძანა: რუსეთს პასუხი **„საერთაშორისო ფორმატში“** მოვთხოვოთ. თუ რას ნიშნავს ეს გამოთქმა — „საერთაშორისო ფორმატში“ — კაცმა არ იცის. ეკა კვესიტაძემ თავისებური ფორმების მომარჯვებით შეუჟუჟუნა მას თვალები: **„თვისობრივადო“** ორჯერ ბრძანა. ცუდი ქართულის მასწავლებელი ჰყოლია ეკას, თორემ თვითონ დიქტორს როდი ვაკრიტიკებ ამ არცოდნისთვის. იქვე ქალბატონი იქედნურღიმილიანი სახით ბრძანებდა: **რუსეთში განმტკიცდა ავტორიტარული ხელისუფლებაო.** ამას ნეტარღიმილიანი კი ამბობდა, ოღონდ როგორღაც არ მახსოვს, ოდესმე ეხსენებინოს ის ავტორიტარული ხელისუფლება, რომელიც მას შინ, ანუ საქართველოში, ეჯდა.

ქალბატონო ეკა, განა რითა სჯობს სააკაანთ ბიჭის ავტორიტარიზმი პუტინის ავტორიტარიზმს? ეს კი კატეგორიულად შეიძლება ითქვას: **ქართველთათვის პუტინის ავტორიტარიზმი სჯობს სააკაშვილის ავტორიტარიზმს.**

არ ვიცი, რომელი სხვა ენა იცის გ. ბოკერიამ, ოღონდ, ქართული რომ არ იცის, ამის მოდასტურე მე გახლავართ. აი, მისი „მარგალიტები“: **„გუშინ მომხდარი დაკავებები“; „სახეზეა ყველა ნიშანი“; „ჩვენ სახეზე გვქონდა“** („რუსთავი-2“, 9 სთ. 7 ნოემბერი). მას ისევ და ისევ დაუვიწყარმა ჩიორამ მიუჩიორა: **„პრიმიტიულათ“, „ვაშლის გათლის მოტივით დააკავეს“.**

ბოლოს ყველაფერი ისევ ჩიორამ დააჩიორა: **პირველ რიგშიო; სახეზე გვაქვსო; სახეზე გვქონდაო; დანაშაულად ერაცხებაო; უაპელაციოდ ბაჩო ახალაიას აცხადებდნენო** (9.XI.20 სთ. I არხი).

ნაცმოელები თავიანთ აჭიაბაჭია აზრებს შესაბამის ფორმას უძებნიან.

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

პირობით ვადამდე დაახლოებით 3 500 კაცის გათავისუფლება იქნება შესაძლებელი

ამის შესახებ გუშინ მთავრობის სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განუცხადა.

მისი თქმით, ზუსტ რაოდენობაზე ჯერ ადრეა საუბარი, თუმცა იმ მექანიზმით, რაზეც ახლა ვსაუბრობთ, დაახლოებით ორი ათას ადამიანს ეხსნება სასჯელი მთლიანად, ათასს გარკვეული მუხლები უდგება და მათი გათავისუფლებაც იქნება შესაძლებელი.

— სულ 3 500 ადამიანს ეხსნება სასჯელი იმდენად, რომ მათი გათავისუფლება იქნება შესაძლებელი. „უდოთი“ გათავისუფლება არის მნიშვნელოვანი მექანიზმი, რადგან ინდივიდუალურად ხდება თითოეული ადამიანის საქმის შესწავლა და გათვალისწინება უამრავი რამის, მათ შორის იმისაც, თუ რამდენად წარმოადგენს ამა თუ იმ ადამიანის გათავისუფლება საფრთხეს საზოგადოებისთვის. მნიშვნელოვანი იქნება ისიც, თუ როგორ იქცევიან პატიმრები ციხეში ყოფნის დროს, არღვევენ თუ არა რეჟიმს, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა სიის საბოლოო ვარიანტი 5 დეკემბერს გამოქვეყნდება

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ფარგლებში შექმნილი პოლიტპატიმართა საქმეების შემსწავლელი კომისია პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა სიის საბოლოო ვარიანტს 5 დეკემბერს გამოაქვეყნებს, — ამის შესახებ ჟურნალისტებთან შეხვედრისას კომისიის წევრებმა ლევან ჩიტაძემ, ნინო გვენეტაძემ და მერაბ ტურავამ განაცხადეს.

მათი ინფორმაციით, შესაძლოა, დღეს არსებულ სიას გარკვეული პირები გამოაკლდნენ ან დაემატონ. კომისიის წევრების განცხადებით, თითოეული საქმე კომისიამ დეტალურად შეისწავლა და საბოლოო შედეგები სწორედ 5 დეკემბერს გამოქვეყნდება. იმავე დღეს პარლამენტი აღნიშნული სიის განხილვას გეგმავს.

შეზღუდვით გაიყიდება

სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით შეზღუდვები წესდება და რიგ სავაჭრო ობიექტებსა და დაწესებულებებთან მისი გაყიდვა ადმინისტრაციული წესით დასჯადი ქმედება ხდება.

ამ მიმართულებით ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის ინიციატივით ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის, რომლის თანახმად, იმ სავაჭრო ობიექტებში, სადაც ბავშვთა ტანსაცმელი და სათამაშოები იყიდება, სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეალიზაცია პირის 100 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

ასეთი ტიპის პროდუქციის რეალიზაცია იკრძალება სკოლებსა და 18 წლამდე ასაკის პირთათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში, ასევე მათ კუთვნილი ტერიტორიებიდან 50 მეტრის დაშორებით და იწვევს 50 ლარის ოდენობით დაჯარიმებას. სექსუალური ხასიათის პროდუქციის 18 წლამდე ასაკის პირისთვის მიყიდვა კი 100-ლარიანი ჯარიმით დასჯადი ქმედება ხდება.

ცნობისთვის, ანალოგიური შეზღუდვები და სანქციები აქამდე მხოლოდ თამბაქოს პროდუქციაზე ვრცელდებოდა, სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით კი არანაირი რეგულაცია არ არსებობდა.

ინტერპრესნიუსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სულიერება



მათე მახარებელი

29 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია წმინდა დიდებულსა და ყოვლადქებულს, მოციქულს, მახარებელ მათეს იხსენიებს...

...სულთმოფენობის დღესასწაულზე, მათე მახარებელი, უფლის სხვა სამოციქულო რჩეულ მოწაფეთა შორის იყო და მათთან ერთად სულიწმინდის მადლით აივსო. მათე მახარებელი ქადაგებდა ქრისტიანობას ბევრ შორეულ ქვეყანაში.

იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრება და მისი სწავლება ასახა მან სახარებაში, რომელიც იერუსალიმში დარჩენილი იუდეველების თხოვნით დაწერა.

მათეს სახარება ახალი აღთქმის წიგნებს შორის რიგით პირველია. მან სახარება პალესტინაში დაწერა ქრისტეს შობიდან 42 წელს. ებრაულ ენაზე დაწერილი მისი სახარება შემდგომში ბერძნულად გადაითარგმნა.

გიული ლიპარტია

დაიჯესტი

ყველაზე იაფები და ყველაზე ძვირები

იმის გათვალისწინებით, რომ დოლარი მსოფლიოში მიღებული საერთაშორისო ვალუტაა, ყველა ქვეყანაში გამუდმებით ქვეყნდება ადგილობრივი ფულის ერთეულისა და ამერიკული ვალუტის შეფარდება.

ჰოდა აღმოჩნდა, რომ დოლართან მიმართებაში ყველაზე იაფიანი ვალუტაა **ვიეტნამური დონგი** – ერთი დოლარი, არც მეტი, არც ნაკლები, 20 966 ერთეული ღირს. სიიაფით მეორე ადგილზეა **ირანული რიალი,** რომლის დოლართან შეფარდება 1:12 ათასზეა. შემდეგ მოდის **ინდონეზიური რუპია** – 1 დოლარი 8612 რუპია ღირს, **ლაოსელს** ეს სიამოვნება 8 ათასი კიპი დაუჯდება.

ამასთან, დოლართან მიმართებაში ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული ვალუტა საკმაოდ ძვირი ღირს. კერძოდ, **კუვეიტური დინარი** 3,5 დოლარია, **ომანური რიალი** – 2,6 დოლარი, **ბაჰრეინის რიალი** – 2,5 დოლარი, **ლატვიური ლატი** – 1,8 დოლარი, **ინგლისური გირვანქა სტერლინგი** კი –1,6 დოლარი.

გინდ იოგურტი მიირთვით, გინდ - მაწონი...

ამერიკის შეერთებული შტატების გულის ასოციაციის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ იოგურტი არტერიული წნევის აწევის რისკს ამცირებს.

იოგურტის მთავარი ღირსება კალციუმის მაღალი შემცველობაა, რომელიც სისხლძარღვთა კედლების გამაგრებასა და სასარგებლო ბაქტერიების მომძლავრებას უწყობს ხელს, რომლებსაც ჰიპოთენზიური ეფექტი აქვთ. თანაც, იოგურტი გაცილებით უფრო სასარგებლოა, ვიდრე კალციუმის აბები.

რატომ ვტირით?

დარწმუნებული ვართ, ბევრ ჩვენგანს ხშირად უფიქრია – განა რა საჭიროა ცრემლები? რა ხეირი მოაქვს მათ და შეუძლიათ თუ არა ტირილი ცხოველებს?

– საცრემლე ჯირკვლები ხმელეთის ყველა ცხოველს აქვს, რომლებიც გამუდმებით რთული შემადგენლობის სითხეს გამოიმუშავებენ. ცრემლები მხედველობის ხარისხს აუმჯობესებენ და თვალების ზედაპირს გაშრობისგან, ასევე ინფექციებისგან, მწვავე აიროვანი ნივთიერებებისგან და გარეშე ნაწილაკებისგან იცავენ. მაგალითად, თუკი თვალში რაიმე უცხო ნაწილაკი ჩაგივარდებათ, ცრემლი მას ჩამორეცხავს.

საცრემლე ჯირკვლების მუშაობას საგანგებო ნერვები მართავენ და დღე-ღამის მანძილზე ადამიანს 0,5-1,0 კუბური სანტიმეტრი ეს დიდი სარგებლობის მომტანი სითხე გამოუმუშავდება. თვალში უცხო სხეულის მოხვედრისას, ჰაერის კვამლით დაბინძურების, ცივი ან ცხელი ქარის დროს, ალერგიის პირობებში ცრემლის მოცულობა იზრდება.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ცრემლი ტირილის დროს გამოიყოფა ხოლმე – ესაა სულიერ თუ ფიზიკურ ტკივილზე ემოციური რეაქციის გამოვლენა, თუმცა იგი, შესაძლოა, დიდმა სიხარულმაც გამოიწვიოს. მეცნიერები და ექიმები დღემდე ბჭობენ იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის ტირილს. თუმცა ერთში კი ისინი თანხმდებიან: მიუხედავად იმისა, რომ საცრემლე სითხე გამოუმუშავდებათ, ისინი მაინც არ ტირიან, ადამიანისთვის კი ტირილს სიკეთე მოაქვს. ტირილი სხვა ადამიანებს იმის ნიშანს აძლევს, რომ კაცი ცუდად არის და შველას საჭიროებს, ამავე დროს ემოციური სტრესის, დარდის შემსუბუქებაში ეხმარება. ცრემლებთან ერთად ადამიანის ორგანიზმიდან სტრესის ჰორმონები გამოდის და სწორედ ამიტომაა, რომ ტირილის შედეგად კაცი შვებას გრძნობს.

ანეკდოტები

ახალგაზრდა მამაკაცი ქალთა საერთო საცხოვრებელში შედის.

– ვისთან მიდიხართ? – ეკითხება მორიგე ქალი.

– თქვენ ვისთან მირჩევდით?

* * *

– **ძვირფასო,** ჩვენი ქორწინების შემდეგაც ასევე გეყვარები? – ეკითხება ქალი კაცს.

– რა თქმა უნდა, საყვარელო. მე მუდამ მომწონდა გათხოვილი ქალები.

* * *

ძალი და კაცი საწოლში წვანან.

– მითხარი, მე პირველი მამაკაცი ვარ, ვინც გიყვარდა?

– რა თქმა უნდა, პირველი ხარ. საინტერესოა, რატომ სვამს ამ კითხვას ყველა მამაკაცი?

* * *

ძალებს ყველაფერი შეუძლიათ. მაგრამ ზოგიერთს რცხვენია.

* * *

– **მართლაც** შესანიშნავი აგარაკი გაქვს! ეზოში დიდებული მანქანაც გიყვნიან! არც ფული გაკლია... მეტი, ალბათ, არც არაფერი არ გჭირდება...

– მჭირდება!

– რა?

– უტყუარი ალიბი და ნაცნობობა პროკურატურაში...

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაუშინაურ ვახუსერებლიან

„არსებობს ფოტოები, რომლებზეც გია ბარამიძის მიერ გენერალ ვაშაკიძის წამებაა აღბეჭდილი“

– ამბობს ადვოკატი გია დარჩია. დაკავებისას ვაშაკიძეს და მის მეგობრებს – ელდარ გოგბერაშვილსა და ბენიამინ სანებლიძეს ჯერ ცემა დაუწყეს, მერე იარაღი ჩაუდეს... პოლიციის მაღალჩინოსნები მათგან მოითხოვდნენ, დაედასტურებინათ, რომ იგორ გიორგაძესთან ჰქონდათ კავშირი. მათ წამებასა და ცემას ესწრებოდა გია ბარამიძე, რომელიც სხვებზე არანაკლებ აწამებდა ვაშაკიძესა და მის მეგობრებს, ამბობენ მოწმეები, რომელთაც შეუძლიათ, რომ ეს დაადასტურონ.

„ძართული სიტყვა“

„ნაციონალები რევანშისთვის ემზადებიან“

– დარწმუნებულია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, – ეს არის სრულიად აშკარა და ივანიშვილის მთავრობა ამისთვის სულ უფრო და უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის. მე ვიცი და მომისმენია „ქართული ოცნების“ მომხრე ოპტიმისტების შეხედულებები, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერ მოახერხებს ასე სწრაფად რეაბილიტაციას. ვეთანხმები მათ, რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობა პრეზიდენტის არჩევნებამდე რეაბილიტაციას ვერ მოახერხებს, მაგრამ მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ არსებობს უმნიშვნელოვანესი მოთამაშე ამ პროცესში. ეს არის ამერიკის შეერთებული შტატები. შეიძლება ქვეყნის შიგნით ვერ მოახერხოს ნაცმოძრაობამ რეაბილიტაცია, მაგრამ ქვეყნის გარეთ რომ ვუსმენ მაღალი რანგის დასავლელ ჩინოვნიკებს, მგონი, უკვე მოახერხეს.

„ახალი თაობა“

უგულავა ირწმუნება, რომ ლას ვეგასში „სამუშაო ვიზიტით“ იმყოფებოდა

ბატონი გიგი მთავარი პროკურორის სახელზე აცხადებს, რომ ის ლას ვეგასში სამჯერ ბიუჯეტის ხარჯზე გასართობად კი არა, სამუშაო ვიზიტით იყო წასული.

„გვინდა იცოდეთ, რომ 2011-2012 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, მათ შორის, ნევადას შტატში ქალაქ ლას ვეგასში ვიზიტის დროს, შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა ოფიციალურ პირებთან, მათ შორის, შტატის სხვადასხვა თანამდებობის პირებთან“.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com